

345/2
1903

N. VI

2
2




03 Б 060 1903

ულრნალ „ჯეჯილისა“

83.

I *	* * * ლექსი — შ. მდგმელისა	3
II	პატარა ევას ექესი გროში (ფრანგულიდან) — კნ. ანასტა- სია ამილახვრისა	5
III	ტყუილის მოტრეალე იგავი — ალ. მირანაშვილისა	8
IV	სამშობლოსაკენ ამბავი — ნიკო სუცისშვილისა	9
V	მსუნავი იონა (ფრანგულიდან) — ტასოსი	19
VI	ზოოლოგიური ბალის მცხოვრებლები — თეთრი დათვი — (თარგმანი) — ნიკო მაჩაბლისა	23
VII	პერანგის ამბავი (ფრანგულიდან) — ელენე სელთუფლაშვი- ლისა	29
VIII	როგორ აკეთებენ ქალალდს (გადმოკეთებული) — ქორე კლიოზიშვილისა	37
IX	თაე-განწირული შეილი (რუსულიდან) — გ. ფარდაშვილისა	45
X	მონალიზე შეილი სამ-ნაკერა (ზღაპარი) — ალ. ცუცქირი- ძისა	48
XI	ძეელი ისტორია ერნესტ ლავისისა, (რომის იმპერია)	
	თარგმანი — ნ. შენგელისი	52
XII	წერილმანი: ანდაზები, გმოცანები, ჩქარა გამოსათქმელი, შარადა, რებუსი, ასსა და განცხადება	59

ვისაც სრულათ არა აქვთ შემოტანილი ქურნალ «ჯე-
ჯილის» ფული, იმათ შემდევი ნომერი აღარ გაეგზავნე-
ბათ.



The image shows the title page of a book. The top half features a large, stylized title in Georgian script, "მარტინ გარებული", surrounded by intricate black floral and scrollwork decorations. Below the title is a horizontal line of text in Georgian: "საზოგადოებრივი მარტინიანი". Underneath that is another line: "უკრნალი". At the bottom right, there is a smaller block of text: "მწერლი, მწერანე გეგიოლო
დაშურდი, გახდი უანათ!..
o. ღ.".

იზარდე, მწვანე ჭიკილო,
დაბურდი, გახდი ყანათ!..

००

Nº VI


၁၂၁၃ မြန်မာရှိသူများ

ଓଡ଼ିଆ ଉଦ୍‌ଧୂ

სტატ ტ. გ. რეგისტრაცია, № 41 | თმ. Т. М. Ротиніанца, Гол. пр. № 41
1903



Дозволено цензурою. Тифлисъ, 2-го Июня 1903 г.



**

ଅଲାକାରୀ ପଞ୍ଚିନ୍ଦାଙ୍କେ, ପିଥିନ୍ଦାଙ୍କେ,
ଗୁଗ୍ଗିରୋତ୍ତରକୁଳରୁଷା, କରକୁଳାତା,
ମେରପୁକ୍ଷାଲୀ ପୁକ୍ଷରୁ କ୍ଵେଚୁନିରୂପ
ମନ୍ତ୍ରରିନ୍ଦା ମନ୍ତ୍ରିକାଳାତା.

ମନ୍ତ୍ରରିନ୍ଦା, ଜ୍ଵାଳାଲ୍ଲେଖେ ଶାଲାମ୍ବା
ଗ୍ରୀଗ୍ରୀଲ୍ଲେଖେ, ଶ୍ରେମିଗ୍ରୀପ୍ରୀରିକାଲ୍ଲେଖେ,
କୁନ କେନ୍ତ୍ରରିନ୍ଦାରୁ ଶ୍ରେଷ୍ଠରାଙ୍କେ କାମାକାଶ,
କୁନ ଲ୍ଲାଙ୍ଗପାରୁ ପ୍ରାଣି କରିଲ୍ଲେଖେ.

ମେରପୁକ୍ଷାଲୀ, ଶ୍ରୀଜ୍ଞ-ମାରପ୍ରୟାଳୀ
ଶ୍ରେନତ୍ରିପିଲ୍ଲ ମଧ୍ୟାତା ମାର୍ଗେ ତେଜରିଲୀ,
ଲ୍ଲାଙ୍ଗନ୍ଦ ମିତକାରୀ ଆମ୍ବେଶି
କ୍ଵେଚୁନ୍ଦିପିଲ୍ଲ ଶରୀରକୁଳିଲୀ.

ମିତକାର ଲେଖ ଯୁଗ ଶାମିତାରିଶି,
ମାଲ୍ଲକାଳି, ଶିଗିଶିଗ କମିନି,

ଶାଶୁନତତ୍ତ୍ଵାଲାଙ୍କେ
କାନଲ୍ଲାରୀରୀନ୍ତିଲୀ
ଶରୀରତ୍ତ୍ଵାରିଲୀ
ଶରୀରିଲୀରୀଲୀ

ଶରୀରିଲୀରୀଲୀ
ଶରୀରତ୍ତ୍ଵାରିଲୀ
ଶରୀରିଲୀରୀଲୀ

୧୯୮୭

რომელ ყრმათ შორის აგებდი
შენ ბუდეს ალერსიანო.

იქაც შორეულს ქვეუნებში
თამამ და დასრუალობდი?
თუ იყავ ჩვენებრ მოწყვნით
და არათერსა ჰგალობდი!...

შ. მღვიმელი.



პატარა ევას ექვსი გრძელი.



(ეუძღვი ნ. შ. ე.)

ჩაწია ფერმისდიდი გოგო, ღარიბათ
ჩაცმული, შევარდა ერთ წიგნის მა-
ღაზიაში ქალაქ ანენსეურგში და მო-
წიწებით უთხრა მაღაზიის ჰატონის:

— უკაცრავთ, ბატონო, გაქვთ ის
წიგნი, რომელმდაც სწერია: «აცა-
დეთ ყრმებსა მაგას მოსვლად ჩემდა?» მე მსურს ვიუ-
რო, რამდენი ღირს მიბმანეთ, მალიან მეშურება.

კეთილმა ვაჭარმა ლმობიერის ხმით უბასუნა:

— რომ არ მქონდეს ეგ წიგნი, რას ისამ, შეილო?

— ოს, დიდათ მეწერინება! მე მალიან მინდა მაგ წიგ-
ნის შოვნა. გოგონას ხმა აუკანელდა.

— აბა მითხარ, რათ გსურს ავრე გულით მაგ წიგნის
ედვა, ან რათ ეშურება ავრე? ჰკითხა ვაჭარმა.

— ახლავე მოგახსენებთ, ბატონო: ერთხელ ჩემი ქალ-
ბატონი მინ არ იურ და მე წაფელ საკვირაო სასწავლე-

ბეჭმი, სადაც მასწავლებელმა ბევრი წამ გვიაშბო კეთილ
მწევმსზე, რომელსაც უკვარს ბავშვი, აგრეთვე გვესაუბრუ
ბოდა მშენიერ ცაჲე, სადაც ბავშვი იხილვენ იქსოს, მე
მსურს იქ წასვლა.

— ახლა მითხარ, რათ ეშურები?

— იმისთვის, რომ ჩემმა ქალბატონმა თუ გამიგო, რომ
მე ფულები მაქეს, რომელიც კეთილმა ადამიანმა მაჩუქა, წა-
მართევს, და მე-კი მინდა ამ-თი ვიუიდო ის წიგნი, რო-
მელმიაც უაველივე დაწერილებით სწერია კეთილი მწევ-
სის შესახებ. მე ძალიან ავათა ვარ, ცუდათ მახველებს, უკ-
ლა ამბობს რომ დღისანს ვერ ვიცოცხლებ, ამისთვის მინ-
და გავიცნო იქსო, მანამ მოვევდებოდე და ვიხილავდე მას.

ვაჭარმა მოიწმინდა ცრემლები, აიღო წიგნი, ვადუძლა
სახარება ლუკასი და წაუკითხა ის ადგილი, სადაც სწერია:
«კისაც უკვარს კეთილი მწევმსი და მსახურებს მას, წავ-
მასთან და ჭროვებს ნათელს, სიხარულს და ბედნიერებას».

— თხ! რა მშენიერებაა! წარმოთქა გახარებულმა ბავშ-
მა,—მან ბმანა: «მოვედ ჩემთანო!» და მე მინდა წასვლა მა-
თან. როგორა გგონიათ, ბატონო, დღისანს მომინდება კი-
დევ აქ ცდა?

— არა მგონია, უთხრა მოხუცმა და მიიბრუნა თავი, რომ
ბავშისთვის არ ეჩვენებინა თვალებზე მოძღვარი ცრემლები.
გროშები ისევ შენთვის შეინახე, შეიღო, მოდი სოლმე ჩე-
თან, როცა გცალოდეს და მე წაგიკითხავ ბევრ რამეს «ღვთი-



უ წიგნიდან» — უთხრა ვაჭარბა. ბავშვა პირობა მისუა და კავშირი შინისკენ.

გავიდა რამდენიმე ღღე, მაგრამ პატარა ეკა აღარ მოვიდა ვაჭართან. რამდენსამე კვირის შემდეგ გაიღო მაღანის კარი, შემოვიდა ერთი ღეღაცაცი და უკეთ სმით უთხრა ვაჭარს:

— ეგა მოგვდა! სიკვდილის ქამს სულ კეთილ მწევებზე ლაპარაკობდა. აი ეს ექვსი გროში დამიტოვა, რომ თქვენ გადმოგცეთ, შესაწირავათ ქრისტიანობის გასაურცელებელ სასოგადოებისთვის; რადგანაც მე მკვდრის ფულს ვერ დავსარჯავ, ისევ თქვენ მოგიტანეთ. ამ სიტუაცით დაჲურა დასახულება და წავიდა.

ეს ექვსი გროში ოქმნა შეწირული სურვილისამებრ.

როდესაც პატარა ეკას ამბავი უამბექ სხეკა ბავშებს, იმათაც მოინდომეს შეწირება ამ საუნისთვის, მალე ეკას ექვს კროშს მიემატა იმდენი შესაწირავი, რომ შესაძლო შეიქმნა შისიონერის გაგზავნა ჩინეთში კერით-მსახურთა მოსაქცევა.

კნ. ანასტასია ამილახვარი.

(ფრანგულიდან)





ԵՎԱՐԼՈՒ ԹՐԱՑԻՎԱԾԵ.

• 8 • 3 •



რომ კაცი ევენიებოდა მეორეს:

— ଶ୍ରୀଜୁଲି ମାତ୍ରିକାଳୀ ଓ ରାଜ୍ସାମ୍ବ
ମତ୍ତେବୁ, ମେମ୍ପୁଗେ ବାରି.

— ჩემო მმაო, გამჩნევ ტურ-
ლების პირველი ოსტატი შენ თვი-
თონ უფლისარ და აბა სხვისგან
რაღა უნდა ისწავლო.

— რაზე გამჩნევ?

— შენ რომ გასამრჯელოს მცირ-
დები, ტუუილზე უტუუილესია: რო-

გორ შეგიძლიან, რაცა კონკრეტულ ის მომცე; უნება კა და
ქვეყნის ბატონობა მსურს და აბა შენ ამის მოცემს სად
შეგიძლიან.

၁၉။ မင်္ဂလာနာရွှေကြီး

საგუგლოსაკან.

(ცუძღვნი პატარა ნიტოს)

აზაფქულის ადრიანი კამჯამა დილა იუო. მოწმენდილ ცაზე მზე ჟეკი ამოსულიუო. დამშვიდებულ სლვაზე გემი მედიდურათ, მმიმე ქმენა-გუგუნით აპობდა წეალს და თვალ-გადუწვდენელ სლვის სივრცეს სიამაუით გადასცემოდა. გემის ბანზე მგზავრები ამოსულიუკენ და წმინდა ჭავრით ტებებოდენ.

— არიქათ, არიქათ! გაისმა გემის ბანზე სალხში ვიღასიც ხმა და ერთი ალიაქოთი ატყედა. რამდენიმე კაცი ერთმანეთს ეცენ და ერთ კაცს შემოეხვივენ.

— მწერია, მწერი! იმახდა ერთი სლვაოსანთაგანი, მაღლა აშეერდა სელს და მოფთხრიალე ფრინველს გარს შემორტყმულ სალხს უჩვენებდა.

— საწეალი ფრინველი, ვეღარ შესძლება ფრენა და სამოვარდნილა!.. იმახდენ აქეთ-იქიდან. ზოგნი-კი ერთმანეთს გაკვირვებით შესცემოდენ და ვერ გაეგოთ, თუ საი-

დან გაჩნდა ეს ფრინველი ამ წებლსა და ცის შეა, სადაც
მსოლოთ გემს შეეძლო სიარული.

— რა არის, რა?.. მიჩვენეთ მეც! იძახდა ჰატარი ჯა-
სოც, ოომელმაც მაურებლება მისწი მოსწია და ზღვაო-
სანის წინ გაჩნდა.

— უი, ჩიტი, ჩიტი, რა ლამაზია! იძახდა ვასო და
უნდოდა ხელი მოეკიდნა ფრინველისთვის, მაგრამ ეძინოდა.

— აჟა, ნუ გეშინა, მიჩუქებია შენთვის... კი არ გა-
უძვა, დაიჭი მაგრა, უი ხრა ზღვაოსანმა ვასოს და მისუ
ხელში მწერი. ვასომაც მაგრა მოსჭიდა ხელები ფრინველს
და დედისაკენ გაექანა.

— დედა, ჩიტი, ჩიტი!.. უვიოოდა ვახარებული ვასო.

— სად იძოვე, შვილო, ვინ მოგცა?.. ეკითხებოდა გა-
კვირვებული დედა.

— ზღვაოსანმა, დედა, ახლა დაიჭირა, ეუბნებოდა ვა-
სო დედას და სიხარულით ერთ აღვილს ვერ გახერებუ-
ლივო.

— უი, საწეალი, მწერი უოფილა!.. ხელს ნუ მოუ-
ჭერ, გქნაცვალე, ცოდვაა... მომეც, აქ... შეხე, საცოდავი,
რა რიგ უცემს გული!.. იძახდა ვასოს დედა და მოფრთხ-
იალე ფრინველს ალერისით ხელს უსვამდა.

— მომე, დედა, მომე... ესვეწებოდა ვასო დედას და
თან ცმუქავდა.

— ნუ, შვილო, ნუ, ნუ დასტანჯავ ხელში ჭერით...

რომ იცოდე ამის ამბავი, შეგებრიალება და უპატრონებ...

— აბა, მაშ რა ვუყოთ, გალია რომ არა გვაქვს? იკით-
სა ვასომ და მოწეულით შესედა დედას.

— მოვახეობოთ რამე, თორემ ან სელში შემოგავდე-
ბა, ან კიდევ გაგიფრინდება და ას შეა ზღვაში დაიღუნება...
ცოდო არის... მასაც უთუოთ დედაც ჴშავს შენსავით...
მამაც... დებიც... შებიც...

— კი დედა!.. შევინახოთ... იცი სადა, დედა?.. შენს
ჰატარა სამკუავრო კალათაში... კარგი არ იქნება?.. შევით-
სა გაბრწეინვალებული სახით ვასო და გახარებულმა ისე
მაგრა კამოჭერა ტაში, რომ აქამდინ კისერ-ჩამმვრალი მწე-
რი შეფრთხოებიალდა და გაიწია გასაფრენათ.

— აი, დედა, გაფრინდება!.. დაიძხა შემინებულმა ვა-
სომ, მაგრამ დედის სელებს მწერი მაგრა ეჭირა, ვასოც
დამშეიდღა.

— ჩავიდეთ, შეილო, მირს და იქ მოვუხეობოთ რამე,
თორემ სელში ვერ მოისვენებს, უთხოა დედამ ვასოს და
გემში საწოლ ოთახში ჩავიდენ.

მართალია, კარგი იუო, რომ მწერი სამკუავრო სელის
კალათში ჩაესვათ, რადგან მწერს ჰაერიც და სინათლეც
საკმარისი ექნებოდა, მაგრამ რაკი კალათაში ბევრი რაღაც-
რაღაცები ელავა, დედამ «მლიანის» უუთი აძლიერინა, და
რომ მწერს სინათლეც და აჭერიც ჰქონდა, ალაგ-ალაგ
ქოლგის წვერით დახურიტა, ჩააგო ქაღალდი და მწერი



შიგ ჩასვა. აქამდინ ჩაფიქრებული ვასო, ხელ-მეორეთ ჭ გუნტრუძა და სან აქედან უვლიდა კოლოფს, სან იქიდან, რომ დაენახა დამწევდებული ფრინველი.

— დედა, საიდან გაჩნდა ეს საწყალი აქ? ცნობის მოუვარეობით შეექითხა ვასო დედას და უუთს გვერდზე მოუვდა.

— ებუ, შვილო, შენსავათ სამშობლოსაკენ მიძაბლია, მიუგო დედამ, მაგრამ რა შეატეო, რომ ვასო ვერ მიხვდ მის ახსნას, განაგრძო:

— შენ ხომ იცი, შვილო, რომ ხოგიერთი ფრინველი, მათ შორის მწევრიც, უოველ შემოდგომაზე, რაკი სიციექბი დაიწუება, ჩვენ ქვეუანას ტოვებს და თბილ ქვეუნებისკენ მიღის. ესენი ზამთარს იქ ატარებენ და გასაფხულზე ისევ ჩვენ ქვეუანაში ბრუნდებიან, ბრუნდებიან თავისს სამშობლო; უბრუნდებიან იქ არე-მარეს, სადაც იგინი გამოიჩინებ და ჰირველათ მოქსმათ დედის ჭიკჭიკი. მათაც ისე უევართ ეს არე მარე, როგორც შენ შენი სოფელი.

სოფლის მოგონებაზე ვასოს სისარულის ქრუანტელმა დაურბინა და მთელის თვისის ჰატარა არსებით შეირეა, მაგრამ დედას მაინც თვალს არ აშორებდა. შვილის სიამოვნებით დედაც ტბებოდა.

— განა, რომ გიუვარს, არა შვილო?

— კი, დედა! უბასუსა ვასომ.

— მათი სიუვარული სამშობლოსადმი, განაგრძო დე-

და, უზომოა. აქეთ წამოსასვლელათ ისე მოისწოდებიან, რომ ჩამოთბება თუ არა, მაშინვე შეიციდებიან ერთათ და გამოუდგებიან განას. განას, საცოდაკებს ად ასნაირი ვაი-უბე-ლურება მოელით, ეს იმათ კარგათ იციან, მაგრამ არაფ-რის არ ეძინიანთ: გადმოჰყორენენ შეუპოვრათ და დაუღალა-ჭო ღრეს, კლდეს, მდინარეებს, თუ წვიმა და ქარიშალი არ დაუდგათ. ქარი და წვიმა-კი ბევრს უხსობს ბეღნიერე-ბას — სამშობლო მხარის ნახვას. აი, შეილო, ეგეც გუმინ-ელი ქარიშალის მსხვერპლია. ალბათ ქარს განასი მო-უწერია და აქეთ-იქით გაუფანტ-გამოუვანტავს. ბევრი და-ღუპებოდა შეუბრალებელ ზღვის ტალღებში, ეგ-კი ამ გმის ჟემოჸვარებია. ეტეობა უკელასე ბეღნიერი ეგა უოფილა — სა-მობლო მხარეს ნახვას ეღირსება!..

— მივიდეთ თუ არა, მაშინვე გავუშვათ! ჩაუმატა ვასომ და ისევ შეტოკდა.

— ჰო, შეილო, გავუშვათ და მივცეთ თავისუფლება. მას სისარულს სახლვარი არ ექნება. ფრთას-ფრთას შემო-ჸრავს, მოსმებნის თავის საუკარელ კუთხეს, მორთავს ტყბილ ჭუპ-ჭუპს - და ამცნობს მთლათ არე-მარეს, რომ იყი დაუბრუნდა სამშობლოს, დაგლოცავს შენ, ზღვაოსნეს და სხვებს, რომ სიკვდილს გადაარჩინეთ...

— რატომ ახლა-კი არ ჭუპ-ჭუპებს, დედა? გააწევეტინა ვასომ დედას.

— განა ახლა რა აქვს მას საჭუპჭუპო?.. შენ რომ



ჩაეჭირნე ვისმე მაგისავით, აი ამ ჩატანა ბნელ ოთახში, იცელქებდი ისე, როგორც ახლა ცელქობ? ვასომ ამ კითხაზე მხოლოთ თავი გაიქნია, ღერაძ-კი განაგრძო.— წო ღ მჩეც ახლა ტეპება... ტუსაღია. განა ტეპეს შეუძლიან მფრია?.. ან რომ იძღვეროს, ვის უძღვეროს?.. მიეცი ნება დაჯდეს იქ, სადაც მას სურს და ჭუპტუპსაც მაშინ მოჰყვება... ახლა რაც უნდა ვუალეროსოთ, რაც უნდა ბევრი ვაჭამოთ, მგ მაინც ხმას არ ამოიღებს. ჩვენი არც საჭმელი, რც სასმელი და არც ალერი არ ახარებს მაგის გულს. მაგის. გულს და ენას მხოლოთ თავისუფლება ამომრავებს და მხოლოთ მაშინ იჭუპტუპებს, მაშინ თვითონ იპოვის პურისაც და წეალსაც.

— მართლა, ღერა, ვინ იცის რამდენი ხანია არა უქა, მია-რა, საწეალს, რა ვაჭამოთ? იკითხა ვასომ და ისევ გასვრეტილებიდან მოუსვენრათ დაუწეო მწევრის თვალიერება.

— ავიდეთ ზევით და მოვიკითხოთ: ან მხარეულს ან სხვა ვისმეს ექნება რისამე მარცვალი, უთხრა ღერამ და ორივენი გემის ბანზე ავიდენ. ღედის იძედი გამართლდა. გემზე ერთ მოსამსახურეთაგანს იადონი ჰეოლოდა და სიამოვნებით მისუა მისი საჭმელი. ვასომ ჩაიურა თუ არა პარი მუჭამი ჯეტვი, მოჰყურცხლა თავინთ ოთახისაკენ და ძოსვლისათანავე გახვრეტილებიდან დაიწეო უუთმი ჯეტვის მარცვლების ურა. მოვიდა ღერაც, ახადა ფრთხილათ უუთს სასურავი, ჩაურა შიგ ჯეტვი და სწრაფათვე დახურა.

— რომ მოსვენებით იუვეს, მაღლა შევდგათ, უთხრა
ქვებ და უუთი მაღლა საწოლის ზემო თაროზე შედგა.

გემი-კი გუგუნით და ქმენით მიღიოდა.

— ხმელეთი, ხმელეთი! შემოესმათ ვასოს და მის დე-
დას. ამ ხმაზე ორიგენი ფეხზე წამოუვიდეს და სწრაფათ
უმის ბანზე ავიდეს. ბანი სალსით გატენილიუო. უველას
ჯ მოუყარა თავი. ეტერბოდა ხმელეთის დანახვა უველას და
სატრებოდა. იქ შორს-შორს მოჩანდა რადაცა ლურჯი ზო-
ლი, რომელიც ცას და წელის სივრცეს ერთი-ერთმანეთს
უკავშირებდა, ეს იყო ხმელეთი. ამას მისჩერებოდა უველა
სიხარულით. რამდენიც უახლოვდებოდეს ამ ზოლს, იძე-
ნათ იგი უფრო და უფრო მუქდებოდა, თან-და-თან იზრდე-
ბოდა და განივრდებოდა. ბოლოს გამოჩნდა მთის მწერვა-
ლოებიც.

გემი შეუბოჭრათ აშობდა წელს და ქმენა გუგუნით მი-
ღიოდა სულ წინ და წინ. მაღვე გაირჩა ქალაქიც. მგზავ-
რებს შექნათ ალიაქოთი, ბარგის მომსადებას შეუდგენ. ვა-
სომ და მისმა დედამაც უველა ბარვს მოუკრიფეს თავი ერ-
თათ და ისევ ბანზე ამოვიდეს. გემი ითექმის ნავთსადგურ-
ში შესულიუო. ნავთ-საუკრელზე ხალხს მოუყარა თავი და
მგზავრთ მოუთმესნდათ მოელოდა. ვასოს და მის დედის ამ
ქალაქში არავინ ჰეავდათ ნაცნობი და არც არავინ დახვედ-
რია. რამდენიც გემი ნავთ-საუკრელს უახლოვდებოდა, იძე-



ნათ ვასო უფრო და უფრო შეოთავდა, ღებას ეწეოდა, ბარგის ჩეარა გამოტანას ეხევწებოდა.

— თუ გინდა, შენ შენი მწერი ამოივანე! უთხოა ბოლოს გაბეზრებულმა დედამ. ამ სიტუაციის თქმა და ვასოს გაცემა ერთი იუ. ერთ წამის შემდეგ ის ისევ იქ დაიძადა, მაგრამ გემის მმიმეთ სიაჲული მას მაღიან აბრაზებდა.

ზატარა სანს შემდეგ გემი გაჩერდა. გემის მოაჯირის ქარი ჯერ კიდევ რიგიანათ არ გაეღოთ, რომ სმელეთს დანატრულებულმა ხალხმა იგრიალა და ხუთის წამის შემდეგ გემზე შევე აღარავინ იუ, გარდა მუშა ხალხისა, რომლებიც გაფაციუებით შეუდგენ გემის დასუფთავებას.

ამ დროს ვასო და მისი დედა ტლით ოკინის-გზის სადგურისენ მიქრიალებდენ. სადგურზე ამათ დიდხანს არ მოუსდათ ცდა. გზავრებით გატენილი მატარებელი ვამზადებულიერ წასასვლელათ, დინჯათ ქმინავდა და თითქო წასვლას არ ეჩეარებოდა. ვასოს ორქლმავალის აუჩერებლობა აბრაზებდა და მოუსვენრათ ცმუქავდა. ბოლოს ვაისმა ძექამე ზარის ხმა, მერე სტენა, ზოგიერთი დაგვიანებული წივილ-უვირილით ვაგონების კიბეზე სტებოდა, ზოგი კი ვაგონებიდან სწრაფათ მიწს ჩადიოდა, რომ მატარებელს არ გაჰულოდა. ორთქლმავალმა ერთიც შეჭივლა და მმიმე მმიმე ქმენით და ცეცხლის ფრქენებით დაიძრა. ვასოც შეტოვდა და გულის მგერამ უმატა, ის მოუსვენრათ ხან ვარეთ იურიებოდა და ხან უუთს შეჭირებდა. მატარებელი ქალაქს

გასცდა. გამოჩენდა მწვანე ხავერდის სალსავით სხვა-და-სხვა-
ურათ აუგავებული მინდორი. ვასო თუ საღვურზე ორთქლ-
ჟალის სიღინჯეზე ჯავრობდა, ახლა მისი ნამეტანი სი-
ფიცხე აბრაზებდა.

— «რა იუო, რა მიარბენინებს ასე თავ-გადაგ-
ლეჭით, რა დიდი რაძი იქნებოდა, რომ პატარა სანს
კანერებულიუო აქ, პატარა სანს გვევლო ამ მინდორზე,
აურ ამ კორდზე, მწერსაც აქ დავაბინავებდი, აგერ ამ
ჯავ-შეეშ და მერე ისე წავიღოდითო», ჰყიქრობდა ვასო.
სავრამ მატარებელი უკრს არ უგდებდა, მიჭიროლავდა და
რე-მარეც მასთან ერთათ მიჭიროდა, მიტრიალებდა.

— უჸტ, რა მშვენიერებაა, რა არე-მარეა! — თქვა ვასოს
დედამ, როდესაც ფანჯარაში გადისედა, — შეხე, შეხე, იმ
ფრინველებს, რა რიგ თავისუფლათ დანავარდობენ! ახლა-კი
დოოა, შეილო, მწერი გაკუშვათ: დეე ესეც ჩაერიოს მათში!
დაუმატა დედამ და ჩამოიღო ქაღალდის უუთი. ვასოს გუ-
ლი უფრო აუფანტებულდა და დედას ხელებში მივარდა.

— მე, დედა, მე... გაუშვებ!.. იძახდა ვასო.

— კი, შეილო, კი, მხოლოთ ფრთხილათ, რომ მატა-
რებლის ქვეშ არ ჩავარდეს, მაღლა ააფრინე, — აფთხილებდა
დედა და თან ასწავლიდა, საიდან და როგორ უნდა გაუ-
რინა.

— ფრთხი!.. გაიფრიალა ჩიტმა და ვასო ხელ-ცარებელი

სამშობლოს
აკრდაგანდის
ჭროვნული
გიგანტები




იდგა ფანჯარისი. ბევრი ათვალიერია, მაგრამ მწევრი ადარ-
სად ჩანდა. ვასო ჯერ დაღონდა და ოოცა დედამ ქვლავ აუ-
წერა, თუ რა ბედნიერება მიანიჭა მან მწევრს, მერე ისევ მო-
იმსიარელა და ღიმილით ათვალიერებდა არე-მარეს, თითქო
ცდილობდა გაფრენილი მწევრი იქ დაენახა.

ნიკო ხუცისშვილი.





მსუნავი იონა.



ატარა იონა მსიარელი და კოჩაღი ქმაწვილი იუ. უკელას ექვარებოდა ერთი სენი რომ არა სჭირებოდა — საძინელი მსუნავი იუ. თუ თვალს მოჰქონდა საღმე ან ქადას, შაქრის ზურს, ან მურაბას უსათუოთ იმაში წილი უნდა დაედო. დედა მისი რომ გავიდოდა სახლიდან ეს უკელა კუთხეებს გადურევ-გადმოურევდა, მეტადრე თუ შკაფის გასაღებს ჩაიგდებდა სელში! თუ ნახავდა სილიო სინს გვერდზე კერ გაუვლიდა, რომ სელი არ წაეტანებინა. სეხილს დაინახავდა თუ არა მარჯვეთ მოსწევეტდა საუკეთესო ატარს და გაი ქლიავს.

ერთხელ უძაწვილის მამამ დაინახა, რომ მისი მშენი-ერი პატარა მსხლის სე მაღზე ინმრევა. წენარი დღე იუ, სიღვ არ უბერავდა: — რა უცნაურ ამბავს ვსედავ, თქვა

მამამ - ეს ჩემი მსხლის სე თავის თავათ რათ ინმრევა? მი-
ვიდე ერთი ახლოს...

მცუახლოვდა თუ არა დაინახა მიწს ჩამოჩეებული
მსხლის სის ტუტები და რა სასწაულითაც ინმრეოდა ეს
სე. იონა დაჩიქილი იუო სის ქვეშ და რაც მალი და ღო-
ნე ჰქონდა ანმრევდა სეს და ჩამოცვინულ მსხალს აგრო-
ვებდა. ჸატარა სულელმა ვერ მოიფიქრა, რომ თუ ბალახებ-
ში თავი არ უხანდა ზემოდან რომ ჩახედავდენ ხომ დაინა-
ხავდენ. ემაწვილი ისე გართული იუო თავის საქმეში, რომ
სანამ მამამ უურები არ აუწია, ვერ შეამჩნა მისი მიახ-
ლოვება.

იონას ხშირათ სჯიდენ, მაგრამ აგრე ადვილი არ იყო
მსუნავობას გადაჩეოდა. ერთხელ ბებიამ, რომელსაც ეპო-
ნა იონამ დაიძალა თავის მსუნავობას, უთხრა: - ჩე-
მო ჸაწია იონავ, რადგან ახლა უურო დაწევიანდი, მინდა
დაგასახუქრო, მეწვიე სკალ საღამოს, უკელა შენი ბიძაჭი-
ლები ჩემთან იქნებიან, ისეთ ქადებს მოგარომევ, რომ იტე-
ვი თქროაო, ისეთ ნაღებს გაჭმევ, რომ დანით დასაჭრელი
იუოსო.

იონა სისარულით ფეხს აღარ იდგა. ეჩერებოდა ვი-
თომ ქადებს და ნაღებს კიდეც შეეჭუოდა. «ჩემო დე-
ღუავ, სკალ წავალ ბებიასთან, უსათუოთ წავალ.

მეორე დღეს გაათავა თუ არა საღილი ჩააცივდა დედას,
გამიშვი ბებიასთან.



— კარგი, ჩემო იონავ, გაგიშვებ. თუმცა მგონია, ვითომ გადაეხვივ მსუნავობას, მაინც მინდა გამოგცადო. ა, ეს კალათა უურმნით წაუღე ბებია შენს. მომეცი სიტუაა, რომ გზაზე ამას ხელს არ ახლებ.

— გაძლევ სიტუას, დედავ, უთხრა თამამათ უმაწვილმა.

— მჯერა შენი სიტუაა, შვილო, იყოდე მხოლოთ, რომ თუ მე მომატუშებ, ღმერთს ვერ მოატაჭებ, ის ხედავს ჰელაფერს.

პატარა იონას ბევრი აღარ უფიქრია, გამოესალმა დედას და სისარულით გაუდგა გზას.

უმაწვილს უიქრათაც არ ჰქონდა უურმნის ხელის სჯება, მაგრამ დიდხანს დაჲურებდა კალათს. შიგ ისეთი შვენიერი მტევნები ეწეო, რომლის მარცვლები გატენილი და ქარგასავით უვითელები იყო. ბავშვის ნერწუვი მოუვიდა ბირზე — რა გერიული უნდა იყოს ეს მშვენიერი მტევნები! დაცეკირა პატარა იონამ. — ამ ბალახზე რომ დავისვენო, ერთი მტევანი რომ შეეჭამო, მხოლოთ ერთი, ბებია ჩემი რას შეიტუობს!..

ამ სიტუაებით იონამ აიღო ერთი მტევანი, რომელიც უფრო დადი იყო და როგორც მსუნავს ეკადრებოდა არ დამარცველა და საჩქაროთ პირთან მიიტანა, მიადო პირი თუ არა მტევანის უეცრათ საშინელი ტეივილისაგან დაიწუო კირილი და მტევანი სელიდან გაუვარდა.

იცით ამ მსუნავს რა მოუვიდა? პირთან რომ მიიტანა

უურმნის მარცვალი, ქვეშ თურმე ევითელ-შავი მწერი უთვილიურ, რომელსაც კრაზანას ეძახიან. თურმე კრაზანა შეგუეოდა საუზმეს და ფიტჩებიც არ მოსდიოდა, რომ ვინტ მას შეეხებოდა. მაგრამ, როდესაც იგრძნო ვიღაც შეუპოვარი უპირებს მის საუზმეს ხელის ხლებას, მომართა თავისი ისარი და ისეთი მალით ჩაურჩო ტუჩი მსუნავს, რომ მისი უვირილი კარგა შორს გაისმოდა.

ვინ მიეშველებოდა ამ ტრიალ მინდოოში იონას, ვინ არუგეშებდა? გამწარებული გაიქცა და ტირილით მივიდა ბებიასთან. თავისი უბედური თავ-გადასავალისა მხოლოთ ნახევარი უამბო, მაგრამ ბოლო უკელა ადგილი მისახევრი იყო.

ბებიამაც და ბიძაშვილებმაც ბევრი იცინეს გულიანათ და საბრალო იონა მასხარათ აიგდეს. ამითი არ გათავალ საქმე. კრაზანას ისრისაგან ენა ისე დაუსივდა, რომ უმაწვილმა პირში ვეღარა ჩაიდო-რა და ქადება, მაქრის პურებს და ნაღებს მის თვალ-წინ უკელა შეეჭეოდა. პირი რამდენ-სამე დღეს ჭეონდა დასიებული და ამ უბედურობას-კი მოჟუგა კა შეღევი, იონა თითქმის სრულებით გადაეჭია მსუნავისას.

ტასო.

(ფრანგულიდან)



ზოოლოგიური ბანის მცხოვრებლები.

თეორი დათვი.

Qოოლოგიური ბანის მხეცების სადგომში მოვა-
რეს შეუნათებდა თავისი მკრთალი სხივები. სა-
მინელი ვიწროობაა ამ ძლიერთა საპურობი-
ლები, სადაც არიან დამწევდეულნი თავისუფლებაში ძლი-
ერნი, ტევეობაში-კი მთლათ დაუძლურებულნი და ღონე
მიხდილნი ტეს ბუმბერაზები. შეადამეა. საშინელი უინვაა.

— მოუჭირე მაგრათ! აცივდი უფრო ძლიერ, ჩემთ უინ-
ვა — ჰაპავ! — ბუტბუტებდა თეთრი დათვი თოვლუნა, რატომ
აქაც არა სარ ისე მძლავრი და მაგარი, როგორც იქ, ჩემ
სამშობლოში? ოს ჩემთ საყვარელო სამშობლო მსარე, მანდ
სად ვნახამთ მსურვალე უსიამოვნო შექს, შენმი ერთთავათ
მეფობს დამე, თოვლი და უინვა.

— მეფობს უინვა და სიცივე!.. რა საშინელებაა! და-
იბრდევირა ვეფხმა.

— სულელო, საშიში მსოლოთ სიცხეა, რომელსაც მე
ვერ ვიტან... განა შენ შეგიძლიან გაიგო რამე ჩვენი ძვეშ-



ნის სილაპაზისა? თოვლით შემოსილი და თვალ-მიუწდო-
მელი დედამიწა, უსამზღვრო ოკეანე, რომელზედაც მიცურ-
მოცურის უინულის კუნძულები, მაღალი მთები, რომელ-
თაც გადაჭრია თეთრი თოვლი და ზემოდან დასცექის
მოციმუმე ვარსკვლავებით მოჰქედილი ცა! რა ცხადათ წარ-
მომიდგება ხოლმე წარსული დოო, როდესაც ვეხოვრობდით
მე და ჩემი მმა დედის ნაზი მზრუნველობის ქვეშ. თავ-
შესაფარი ჩვენ არ მოგვეპოვებოდა, ხან ერთს და ხან მეო-
რე უინულის შევაფარებდით ხოლმე თავს. სარჩოსთვის შორის
არ გვირდებოდა წასვლა; საქმარისი იუთ უინულის ჭუჭრუ-
ტანაში შეგმეუთ თავი და იქიდან უმველებელ თევზებს გა-
მოვიუვანდით. თევზი რომ მოგვეპირდებოდა, მაშინ ლომ-
თევზებზე და ზღვის ღორებზე დავიწყებდით ნადირო-
ბას. ხან-და-ხან ვემაპის ხიდრუთაც ჩავიტყბანურებდით
ხოლმე პირს. ერთ დამეს ჩვენ და დედა ვისხედით უინუ-
ლიან გვერდზე

— სუ, ეს რა არის? — ვკითხეთ დედა ჩვენს და შიძი-
საგან ავეჯანგალდით. — უცქირეთ, სულელებო, და ნუ შეძინდე-
ბით ეს მთის-ციალია. ვსედავთ ცანე რეალივით გადაჭრიოდა
კაშაშა სხივები, რომლებიც წამდა-უწუმ ტრიალებდენ ირგვ-
ლივ და იცვლიდენ ფერსა; ეველა ეს რაღაც საკირველი
და უცნაური ცუცქლივით ენთო. თოვლი და უინულები ისე
ბრტყელიალებდენ თთქო ზედ ვისმეს ოქრო და ბრილიან-
ტები გადაუქრიაო. ცას თითქო ცისარტელა გადაჭროდა,



ისე მოჩანდა. თვალები სულ მთლათ მოგვექანუნენ ამ სი-
სითლის ცქერაში. დღესაებ იუო განათებული არე-მარე. დე-
და უცებ მეორე ნაპირას გადასტა და ჩვენც უკან გავემვით.

— აბა მხნეთ იუავით, შვილებთ! — წაგვჩურჩულა დედამ.
უკვნ ისე მოიქცით, როგორც მე გასწავლოთ; ადამიანებისა
უკვნ ნუ გეშინიანთ, ისინი საშიში მტრები არ არიან! თუ
რო გაგვიჭირონ საქმე ჩვენ იმათ ნურას დაუუძვებთ, მაგ-
რამ მათი სურსათით-კი ჩვენ შეგვიძლიან პირი ჩავიტყბა-
ნუროთ.

დედა გაბედულათ მიდიოდა წინ, ხშირათ შესდგებოდა
სოლმე, იღებდა მაღლა ცხვირს და თითქო რადასაც ისუნ-
უსვდა. მალე ჩვენ დავინახეთ ქოხები, რომლებიც თითქო
თოვლში იუვინ ჩაფლულნი. შიგ ქონიან სანთელს და გა-
ხურებულ კერას შემოსხდომოდენ ირმის ტუავში შეხვეული
აცები და ითბობდენ სიცივისაგან დაძრულ სელებს. ქოხ-
თან ვემაპის ქონით საჟე ბოჭები ელავა, რომელიც ჩვე-
ნი საუგარელი ჩასატკბანურებელი საჭმელია. ერთი ფეხის და-
ჭრით დედამ გააპო ერთი ბოჭება და ჩვენ სარბათ მიუცივ-
რით გემრიელ საჭმელს. ქოხში სმაურობა ატება, დედამ
დანება ჭამას თავი, წამომავლო სელი, შემისვა სურგუე და
ერთათ მოუცხრილეთ. მე ვიცოდი რომ დედას არავისი ემი-
ნოდა: ის თავისუფლათ მოერეოდა არამც თუ კაცსა, არა-
მეთ სუთ თავისოდენა მსეუციაც, მაგრამ ესლა ჩვენა ვებავდით
თან და ემინოდა ჩვენთვის არავის არაფერი ევნო. გზა-

ზე ჩვენ შევხვდით გემარზე მონადირეებს, რომელთაც სიუკისაგან კანკალი გაუდიოდათ.

— მოდი და თან წავიუგანოთ ჩვენ ესენი, უთხრა ჩემი მამ დედას.

— დაანებეთ თავი, შეილო, მიუგო გულ კეთილმა ფრამ.—ჩვენ ახლა გამაძლრები ვართ და ესენი რაღა საჭირო არიან.

დედას ჩვენ მალიან ვუჟარდით, ერთ წუთსაც თვალს არ გვაშორებდა; როცა დავიღალებოდით დედას ზურგზე ჭყასხდებოდით და ასე ვმოვსაურობდით ხოლმე.

ვერაჯინ ისე მარდათ ვერ დაცურავდა წეალში და დარბოდა გალიპულ უინულზე, როგორც ჩვენ. ერთის სიტყვით ჩვენ ვიუავით მეფე ხელვეთისა და ოკეანესი, ადამიანების მხოლოთ შიმშილის და გაჭირების დროს ვეტანებოდით ხოლმე, სხვა დროს-კი ჩვენ ამათ არაფერს არ ვუშავებდით.

ოს რა ქარგათა ვცხოვრობდით, რა თავისუფლათ ვსუსტქავდი მე ჩემ ქვეუანაში! აი თვალ-წინ მიდგია ღრუბლიანი დილაც. როგორც კვამლში ისე გამოიცემირება მხე, შეის გულზე გაწოლილან ვასათბობათ ზღვის მაღლები, რომლებიც მეტათ გამჭირიასე ცხოველები არიან, ისინი სულ ჩვენგვენ იცქირებოან, მაგრამ ჩვენ იმათზე უფრო ოსტატები ვართ: ნელა შევცურდებით ხოლმე უინულის ქვეშ და სწორეთ იმათ ახლო ამოვეოფთ თავს და დიდ ნავნევსაც ვუშვრებით, იმ საცოდავებს.



როცა ჩვენ წამოვიზარდენთ და ვიწევთ ფიქრი ჩვენ
კოფა ცხოვრებაზე, ამ დროს თავს საშინელი უბედურება
დაგვატიშდა.

ჩაიზამთრა უინულებში გემბა. საშინელი უინვითა და
უაჭმელობით შეწუსებული კაცები ნაშირას გამოვიდენ, რა-
თა თავი შეეფარებინათ ქოხმასებში. ჩვენ სეირნობის დროს
ჰყვნიშნეთ, რომ მათ ბევრი ვეშაპის ქონი შეენახათ და მო-
ვანდომეთ იმითი ზირის ჩატებანურება; როგორც-კი დავიწ-
ევთ ჭამა, უცემ მოისმა საშინელი ჭექა-გუგუნი და დედა-
ჰუნი მოლათ დასისსლიანებული წაიქცა მიწაზე. ის თით-
ქო რაღასაც გვესაუბრებოდა მე და ჩემს მმას, მაგრამ ჩვენ
ურ გავიგეთ, რა მოხდა და არსეინათ შევექცეოდით მშენი-
ერ საჭმელს. როცა გავათავეთ ჭამა და მოვინდომეთ წასვ-
ლა, მაშინ გაკვირვებით შეენიშნეთ, რომ დედა წევს გაუნძ-
რეველათ და ჩვენ თოვებითა ვართ შებოჭილი! ბევრს ვე-
ცადეთ მე და ჩემი მმა გავთავისუფლებულიურით, მაგრამ
ურაფერი გავაწევთ.

შეძეგ ამისა დავარგეთ თავისუფლება, მინამდის
ჩვენ ბედს მაღლი არ დაჲევდა, რომ დაგვიჭირეს მაშინ
კი მოგაბეს თოვები და ამ ეოთაში გვტოვებდენ მთელ
დღეობით. გათავდა ზამთარი. ღამეები მემოკლდა. გამოისედა
შორეულმა ჩრდილოეთის მზე, ოკეანე განთავისუფლდა უ-
ნელისაგან. ჩვენი გემი გაუდგა გზას, გაიარა მრავალი
ზღვები და მდინარეები და მოადგა ამ საძაგელ ქალაქს. ჩე-



මධ්‍ය ම්‍යා තෙවනු ඇත්තේ නෑ මෝදු මේ මාගාර හැ
විෂ්ටි ගාලියාමි. නු තු අම ගාලියා මේ ම්‍යා මාම්මෙ දෙමු
මාගිරින් ගාමින් තැබු! තුවල-මුද්‍රණ මේ ජ්‍යෙෂ්ඨ තුවල
නෑස ද ගිනුලිය මෙයින් තාවිසුවාත අල්ඹිදෙනියා, රා මා
ප්‍රාප්‍රක්‍රියා ඇත්තේ, අම අත්‍යුව්‍යාලියා ගාලියාමි!

— ටේ තායි තායි තායි, තායි තායි තායි, වේදාර ඒහා
නාව ජේ තායි තායි තායි තායි තායි තායි!.. තායි තායි!.. ද තායි
නාව ඒහා තායි තායි තායි තායි තායි තායි තායි තායි!.. ද තායි

නියෝ මාන්‍යාලි.



პერანგის ამბავი.



აოცარი ყმაწევილი იყო პავლე. სწავლის არაფრათ აგ-
დებდა, მხოლოთ სიჩბილი უყვარდა, მუდამ ხევბზე
დაპორტყავდა და ღობე-ყორეს ედებოდა. ჩიტების
და პეპელების დევნის შემდეგ ხშირათ შინ სრულე-
ბით დაკაწრული და დმტკრეული ბრუნდებოდა, ხან-და-ხან უქუდო-
საც. სრულიად უყრადლებას არ აქცევდა დედის და დების ჩიტების.
ერთ სალამოს, როცა პავლეს დედმ ლოგინში დაწოლილი შეიღი
სათვალიერია, ძალიან გაუკეირდა, რომ მის პერანგს ცალი სახელო
უდარ უნახა. პავლემ თეითონაც არ იცოდა, თუ რა უყო მეორე
სხელოს. უკეთელათ რომელისამე ჩიტის დევნის ღროს სადმე ხეზე
დარჩებოდა. მოთმინებიდან გამოსულმა დედმ დაუშუო შეილს უედ-
ება, მის უსაქციოლობაზე. პავლე იყო გულისა არ იყო და დედის სა-
კუდურმა მეტად აუღელვა გული, ცრემლებიც მოერია.

— ძალიან ხშირათ, შეიღი, ღამე, როდესაც თქვენს ტანისამოსს
უკერებ, დალალულობა და ძილი მერეება, მაგრამ თქვენის გულისა-
ფის უძილობასაც ვიტან და მოუსვერრობასაც—ეუბნებოდა დედა.

პავლე ართოდეს არ ჩაფიქრებოდა, ამ სალამოს-კი უეცრათ თვალ
წინ დაეხატა დედის მწუხარება, ტანჯვა და მიხედა, რომ პერანგი
მისთანა მცირე რამ არ იყო, როგორც მას აქამომდე ეგონა. იმ



დღოს, როდესაც დედა მისი პერანგს აკერებდა, პავლეშ წარმოიდგინა თუ საიდან ჩიდება პერანგი, უნ აკეთებს მას, ან რისაგან, ეს მის თეის ბევრჯელ უთქეამს დედას, მაგრამ ახლა ალარ ახსოვდა. ვე ბედავდა ხელმეორეთ დედისათვის ეკითხა რამ ამაზე, რადგან ის მეტათ შეწუბული და გაჯავრებული იყო. პავლე ცდილობდა თავის თავათ მოეგონებინა პერანგის ამბავი, მაგრამ ამ ფიქრში უცებ ჩაეძინა.

დახუჭა თუ არა თვალები, სიზმარში მოეჩენა, ვითომ დედა მისი მის გვერდით იჯდა და ხელში ხელ-საქმე ეჭირა; გაჯავრების მაგიერათ მის სახეს მშეიღი და წყნარი გამოხატულება მიეღო. ხან-დისხან ხელ-საქმეს გვერდზე გადადებდა და სიყვარულით უმზერდ შეიღოს. ბოლოს, თითქო დედა მიხედა რა ფიქრებით იყო ამ წმის პავლე გატაცებული და ლიმილით დაუწყო ლაპარაკი:

„ჩემი პატარა ბიჭიკო, თითქმის თერთმეტის წლისა არის და ჯერ კიდევ არ იყის, როგორ კეთდება პერანგი — ეუბნებოდა დედა, — პატარა ბრიყვი არაოდეს არ დაფიქრებულა იმაზე, რომ ყველა ეს პერანგის ქსოვილში და პერანგის ნაკერში არის ჩაწერილი. მაშ აბა მე წაეუკითხავ მას პერანგის გაჩენის ამბავს, რომელიც აგერ მუხლზე მიადევს; ყოველი ნეესის ამოლების დროს, პერანგი თითონ მაგონებს თეის ამბავს, ყოველ გვირისტში გვეუბნება თეის ისტორიას. ყური დაუგდე, საყვარელო შეილო! თესლი! მცენარის დერი და განი! მაფი! ნაქსოვი და ნაკერი.

მ თ ე ს ვ ე ლ ე ბ ი.

შევენიერი მაისის დღეა. აბა ერთი თვალი გადავაელოთ იტალიას, სატრანგეთს, რუსეთს! რას ეხედავთ? ჩეენ ეხედავთ გლეხს, რომელიც თავის ქალიშვილებით გამოდის ლარიბი ქოხიდან, გლეხს და გოგოებს მხარზე ადევსთ რილათიც საეს პარკები. ხედავ ისინი მიეიდენ მოხნულ მიწასთან, რომელიც სწორეთ სასიამოვნო შე-



აქედაგია. შეგათ გადაშლილი თითქოს იხეწება, თესლი მომეცითო. ჩა დღის განმავალობაში სახნისო, თოხით, ფარცხით და ფოცხით, სცივეში და სიცხეში, კაცები, ქალები და ბავშები ამზადებდენ ამ ჯილძს.

თეოთოვეული გოგო ცოცხლათ და საჩქაროთ იხდის ფოსტლებს, ყაპიწებს ფერტამალს, იღებს პარკიდან პეშეით პატარა რგვალ-რგვალ ჩნანქარიეთ ბრწყინვალე მარცვლებს, იწერს პირჯვეარს, მერმე იწევებს იქით-აქეთ მისელა-მოსელას, თან ხელს აქნევს და პეშებრთ ფესავს მოხნულ მიწაში ლამაზს, პატარ-პატარა მარცვლებს.

ა პარკებიც დაიცალა. მიწა თავით ბოლომდე დათესილია. „დაიჩოქეთ, შეილებო“, ამბობს მამა, „ვილოცოთ, რომ ღმერთმა დაიფარის ჩეენი ნათესი, აშოროს ჩიტები და რთეილი, გააღოლო-ოს მარცვლები და ამაიყენოს მაღალ-მაღალი, კარგი ღეროები“.

„კეთილნო გლეხნო, გლეხთა ქალნო, შეატყობინეთ ჩემს შეიღს, სას აკეთებთ მანდ, რისთეის არის ასეთი გულმოდგინე მიწის მუშა-ობა, რისა არიან ეს რგალი და ბრწყინვალე თესლები, რომელნიც თქვენის ხელით მოფანტეთ ახლა?“

— მშეენიერო ქალბატონო, მე და ჩემმა შეილებმა დავთე-სეთ ახლა სელის მარცვალი; სელის, რომლიდანაც ხომალდების იალქ-ნებს და ბავშების პერანგებს აკეთებენ“.

შეარგელელი ქალები.

თვეზე მეტი გაეიდა. მშეენიერი ზაფხულის დღეა. მუშა ქალე-ბი ყანაში არიან. საშინელი სიცხეა. მზე პირდაპირ თავზე დაჰუ-ჩებს მათ, ტოროლა თავზე დასჭირებიყობს; ჩრდილოეთის ქარი ჰქონის და მოაქეს მათთან პურის სასიმოენო სუნნელება.

კიდევ ფეხშიშველა, მაგრამ უფრო ფრთხილნი და ბეჯითნი, ახალგაზდა გოგოები გულმოდგინეთ მუშაობენ ყანაში. ცალ ხელს ისინი ჰყიდებენ ამოსულ მცენარის ლამაზ ღეროებს და მეორით თხრი-



ან ღერძლს. მცენარენი, რომელთაც გოგოები ისე უფთხილდებიან არიან მაღალ-მაღალი, ლამაზი, სწორე, ადეილათ მოსალრეკი ბალახები, თავით ბოლომდე სულ მწვანე ფოთლებით დაფარულება. წევროებს-კი ლამაზი ლაქვარდის ფერი ყვავილები აგვირგვინებს.

ზევით მაღლობიდან რომ დახედოთ ამ აყვავებულს, მოღიმან ნათესს სწორეთ იტყვით, ლაქვარდის ფერი ხავერდი გადაპფარება მწვანე ველსაო. ყოველ ქარის დაბერვაზე ღეროები ჩხრებიან და მოეკვარე ზედ-საფარს ხან მწვანე, ხან ჩალის ფერი გადაპრაეს ხოლმე მაგრამ, როგორც-კი ქარი ჩადგება, ყველაფერი ისევ ლაქვარდის ფრათ მოჩანს და აღტაცებულ თვალს ჰგონია, ლაქვარდის ფლვის კიდე დავინახეო, ან და ცის ნაგლეჯი მიწაზე ჩამოვარდნილაო.

„კეთილნო მუშა ქალნო, უბრალო გლეხნო, შეატყობინეთ ჩემ შეიღლს, რას აკეთებთ, რა არის ეგ ლამაზი მცენარე, თქვენ რომ შეიმუშავეთ!“

— შშეენიერო ქალბატონო, ჩენ ემარგლით იმ ნათესს, რომელიც როგორც თქვენ თითოონ ნახეთ, დაეთესეთ, და ეს მცენარე, რომელიც თქვენ ისე ლამაზათ გეჩვენათ, სელის ღერია; სელის, რომლოს საგანაც ხომალდების იალქნებს და ბაეშების პერანგებს ამზადებენ.

სელის მწერავი ქალები.

შემოდგომა დადგა. საით მიღის ეს ახალგაზდა გლეხის გოგო? ის მუშა-ქალების მოსაგროვებლათ მიღის სოფელში. აი ისინიც მოვიდენ. ყველას თითო საბეგველი უჭირაეს ხელში, მაგრამ რა და ემართათ? დალონებულნი და თავ-ჩაყიდებულნი რათ მოდიან?!

— აი, თავი მოიყარეს ერთ გაცალკევებულ ადგილს. იქ რა დაც მონაცრისფრო ბალანის დიდი ზეინებია ჩარიგებული. ახალგაზდა გოგოები აწყობენ მძიმე დაზგებზე ხის იარალებს, რომელნიც თან მიიტანეს. ამას შემდეგ ყველას მიაქვს ზეინიდან თითო კონა გამხმა-

რი ბალახის, სრეს!, მას ხელში, თან წერაეს და თან საბეგველს ურტ-
ყავს.

გაისმის საბეგველის ბრაგა-ბრუები. მტერის ბუქი გოგოებს გარს
შემოერტყა. გოგოები მაინც გულმოლგინეთ და ჩქარა მუშაობენ.
მათ ლონიერს და მარჯვე ხელში დალეწილი და მორბილებული
სელის კონები ყმაწვილის ქერა, გრძელს და აბრეშუმიერით რბილ
თმას დაემგზავსენ.

მაგრამ ეს რალა? სამგლოვიარო წმა! მუშაობა შეჩერდა, გო-
გოები მწუხარებით ყუჩის უგდებენ. ძინ... ძინ... ეს სწორეთ მკედარს
ასევნებენ, მწუხარე და ნელი ზარის წმაა. გოგოები ყველანი ლო-
ცულობენ და ცრემლებს აფრქვევენ თვალებიდან.

„საბრალო გოგოებო, რა დაგემართათ?“

— ქალბატონო, ჩერენ სელის მწერელები ვართ, ჩერენ სელის
მცენარის ძაფებიან ღერებს უვარების კანს ვართმევთ; მაგრამ ის ბუ-
ქი, რომელიც საბეგველის ქვეშ დგება საშინელია. ღლესაც
თავს დაეტიროთ ერთს ჩერენ მეგობარს, რომელიც შარშანდელ-
შა ნამეტუნმა სელის წერამ მოჰკლა. მაგრამ ჩერენ მაინც ამის მიუ-
ხდავათ სელი უნდა დავამზადოთ: ხომალდებისათვის იალწნები,
და პატარა ბავშებისათვის პერანგები არის საჭირო.

მათის დამრთველები და ტილოს მქონელები.

აი ზამთარიც დადგა. აბა ერთი ღამის თევაზე წაეიდეთ. ბიჭები
და გოგოები მჭიდროთ შემოსხდომიან დიდ ცეცხლს. სასაკილო და
სამწუხარო ამბები, ხან აკინებს მათ, ხან ატირებს. მოზრდილი ბი-
ჭები ზარმაცობენ, დრას უსაქმოთ ატარებენ. ზოგიერთი-კი, თით-
ქო თავის შესაქცევრათ დწინებილი, თლის გალესილი დანით პა-
ტარა, ლამაზ, შუაში უფრო სხეილს და წვერში მწვეტ თითისტ-
რებს, რომელიაც ახალგაზდა გოგოებს აძლევს.

ეს უკანასკნელები·კი. ყოველთვის გულმოდგინენი, მუშაობას თავს არ ანგებენ. წერილ თითისტარის წევრობზე, რომელიც იღ-
ლიაში აქვსთ ამოდებული, მიუბამთ ერთი ქერა თმის მსგაესი, აპ-
რეშუმენით რბილი სელის კონა, ისეთი, როგორიც მწეწავმა ქა-
ლებმა დამზადეს, ცალი ხელით ისინი თითისტარს ატრიალებენ და
მეორით ჰერეხენ წერილს და გრძელ ძაფებს.

ფიცრულის ერთ კუთხეში ხისგან, ძაფებისგან და ბაწრებისგან გაკეთებული დიდი დაზღა დგას. ზედ რამდენი ძაფები, ბაწრები და სავარცხლები აწევია. ეტრაფერს გაიკებ, ისმის რაღაც ხრიალი, ბრა-ხა-ბრუხი. ერთი ქალი სულ მოძრაობაშია, მოქმედობს ხელებით, ფეხებით. ცალის ხელით რაღასაც შეუჩერებლათ ისერის, მეორით რაღაცა გამოაქეს.

„კეთილნო ქალნო, ძეირფასო დედაკაცო, ინებეთ და გააგები-
ნეთ ჩემს შეიღს, თქვით რას აკეთებთ მანდ? რას ნიშნავს ყველა ეს
საგნები?“

— ჩევნო ლამაზო ქალბატონი, ჩევნ ძაფის დამრთავი ქალები ვართ, ჩევნი დედა-კი ტილოს მქსოველია. აი ჩემი ფირფიტა, აი ჩე-მი თითისტარი, აი სელის ნაძენძი, აი ღავარცხნილი სელი, აი კი-დევ ძაფი, რომელიც მე ამ სალამოს დავართი. ძაფს დედის დაზგაშე ვდებთ. ის კი დგიმით და მარქვით ქსოვს იმისაგან ტილოს, რომ ხომალდებისათვის იალქნები და პატარა ბაეშებისათვის პერანგები მომზადდეს.

ଦୟାରୀ ନିମ୍ନଲିଖିତ

— საოცარი დაუდევარია ჩემი ვაფი. სუკელაფერს ხევს. სწორეთ მე რომ სამართლიანი ვიყვე რმისთანა მსხეილ ტილოს ჩავაკმევდი, როგორიდანაც ხომალდების იალქნებს აკეთებენ, მაგრამ მე ისე მიყვარს ჩემი შეილი რომ კიდევ თეთრი წმინდა ტილო ვუყიდე პერანგათ.

ღარიბმა და მარჯვე მკერეალმა, რომელიც ჩეენს მეზობლათ ცხოვრობს, იყისრა შემიკეროს შეილისათეის ექვსი ლამაზი პერანგი. აი ისინი. როგორ! ეს კიდევაც ჩემი ვაჟის პერანგებია? სწორეთ ისინია და ძალიან კარგათაც არიან გაყეობული, მაგრათ და წმინდათ ნაკერი. ჩემო კარგი ქალიშვილი, მე მევინა მარტო თქვენ პერანგით.

— „კი, ბატონო, მე მარტო ვკერავ; მაგრამ საკერავის საფასური-კი ორს გვინახავს, რადგან ჩემი საბრალო დედა ორი თვე იქნება, რაც აეათ არის და თქვენც იცით, ბატონო, ავათმყოფი არა თუ თვითონ შოულობს რასმე, ბევრსაც ხარჯავს. ღვთის მაღლით მუშაობა კარგათ მიდის და ჩეენც კარგათ ვცხოვრობთ, მეც საღათ ვარ.

— მაგრამ, ჩემო ძეირთასო ბავშო, თქვენ ძალიან დალალული შეხედულობა გაქვსთ!

— აყი გითხარით, ქალბატონო, ბევრი სამუშავო მქონდა სახლში და ეს სამი ლამე გავათიე, რომ თქვენი ვაჟის პერანგები შემცერა.

— შეილო, შენმა მხნეობამ გამაცეირეა, მინდა რამენაირათ და-გეხმარო, მაგრამ მე თვითო ცოტა შეძლება მაქეს. ამ ექვს პერანგ-ში-კი მთხოვე რაც გინდა.

— ქალბატონო, მე მრცხვენიან მეტის თხოვისა, თქვენ გულკეთილი ხართ, გთხოვთ მხოლოდ იმდენი მომცეთ, რამდენსაც სხვა ბატონები მაძლევენ ხოლმე — პერანგში თითო ფრანკს.

— მე ერთი ორათ მეტს მოუცემ. მხნეთ იყავი და ღმერთი დაგეხმარება.

ამით გაათავა დედამ პერანგის ამბავი. პაელე დიდის ყურადღებით ისმენდა, ხან-და-ხან თითქო დედასთან ერთათ ისიც იღიმებოდა, ხან მასთან ერთათ ტიროდა. პაელე აღტაცებაში მოიყვანა თესვის და ამოსული მცნარის ნახევ. სელის წეწვის სურათმა-კი თი-თქმის აატირა. მაგრამ ჩეარა ისევ გამხიარულდა. ძაფის მრთველი გოგოების შეხედვაზე; საბრალო მკერავმა-კი გული აულელვა და ტირილი დაწყებინა. უნდოდა გადმომხტარიყო ლოგინიდან, მოხვე-

ეოდა დედას, ფიცი მიეცა, რომ აწი ალარ დავგლეჯავ პერანგებს, რაღან ვიცი, თუ რა შრომა და ტანჯვა უნდება მათ გაკეთებასო.

მაგრამ ამ დროს გამოელებია, ბნელოდა, ძალიან გვიან იყო. დედა კიდევაც დაწოლილიყო. უნდოდა გაელეიძებია, ეამბნა თავისი სიზმარი, მაგრამ იმდენი ჭკუა იხმარა, რომ მეორე დღემდის მოიცადა.

შეილის სიტყვებში დედა ალტაცებაში მოიყვანა; პაელე ამას შემდეგ ძალიან გულშემატკიფარი, მოცადანე და შრომის მოყვარე ბაეში შეიქნა; ცდილობდა ჩამენაირათ დახმარებოდა ყოველ ლარიბს და მშრომელს, ჩომელნიც ისე გულმოდგინეთ და მოუსვენრათ მუშაობენ ლუკებში პურის საშოგნელათ და იმდენს გაჭირებას ითმენენ.

ეჯენე სედოვფლიმჟილი.

(ფრანგულიდან)



როგორ აკეთებინ ქაღალდს.

(გადმოგეთებული)



აღალდი! ეინ იცის რამდენჯერ გაფიგონიათ ეს სიტყვა, რამდენი ქაღალდი თქვენ თითონ დაგიწერიათ ან დაგიხევიათ, რამდენი წიგნი წაგიკითხავთ ქაღალდზე დაბეჭდილი, რამდენი სურათი გინახავთ ქაღალდზე დახატული. ან, მაგრამ ეინ ჩამოთვლის რამდენაირათ ხმარობენ ქაღალდს, რამდენაირი სარგებლობა მოაქეს ქაღალდს ადამიანისათვის! სახლს ვერ ნახავთ, რომ ცოტაც არის ქაღალდი არ მოიპოვებოდეს. უველა

სახლში, უველა სასწავლებელში, უველა დაწესებულებაში უველვან საჭიროა ქაღალდი. მოსწავლე იმაზე სწერს ანბანს და შემდეგ თავის თხზულებებს, პოეტი და მწერალი ქაღალდს გადასცემს ხოლმე თავის ნანახ-ნაკრძნობს, სხვა-და-სხვა დაწესებულებებში იმაზე სწერენ ანგარიშს და საქმეების მსელელობას, დიასახლისი იმაზე ინიშნებს თავის შესავალ-გასავალს, ქაღალდში ახევევნ სხვა-და-სხვა ნიერს, ქაღალდს აკრაენ კედლებს, ქაღალდზე სწერენ ერთმანეთს მოკითხვის წერილს და სხვა-და-სხვა.

უველა ეს თქვენც კარგათ იცით, გესმით, რომ ქაღალ-



დი ჩეენ დროში აუცილებელ საჭიროებას შეაღევნს. გაგონ-ნიათ და გინახაეთ ბევრნაირი ქალალდი, ზოგი თეთრი, ზოგი შავი, ზოგი კიდევ სხვაფერისა, ზოგი სქელი და ზოგი მაგარი, ზოგიც თხელი და გამჭვირეობლე, როგორიც არის, მაგალითათ, პა-პირობის ქალალდი. ყველა ეს კარგათ იცით, ყველა ამას ჩემი თქმა არ უნდა, მაგრამ იცით განა ეს ფრიად საჭირო და სასარგებლოւ ნიე-თი როგორა კეთდება, თუ არც-კი მიგაჩნიათ საჭიროთ ამისი ცოდ-ნა? იქნება ფიქრობთ, ე ქალალდი ხომ ბევრია მალაზიებში და ია-ფათაც იყიდება, რას დაევძებ როგორ აკეთდებნო. არა, ჩემო შეეგობ-რებო, არა მგონია რომ თქვენ ეგრე ფიქრობდეთ. პირ-იქით მგო-ნია, რომ თქვენ ცნობის-მოყვარე ხართ და გინდათ შეიტყოთ საი-დან და როგორ კეთდება ყველა სასარგებლო ნიეთი, ამაში დარწმუ-ნებულიცა ვარ და ეს ჩწმენა იმედს მაძლევს, რომ თქვენ ყურად-ღებით წაკითხაეთ ქალალდის ამბავს. ჯერ მოგიყენებით, რაზედ სწერ-დენ უწინ, როდესაც ქალალდი არ იყო, შემდეგ გიამბობთ, როგორ მოიგონეს ქალალდი და ბოლოს აგიხსნით, ახლა როგორ აკეთდებნ მას.

როგორცა ჩანს ძეელი დროიდამ დარჩენილი სამწერლო ნიმუ-შებიდან, წერა და ხატეა უძეველეს დროშიაც ცოდნიათ, დუმცა იმ დროს ქალალდი არა ჰქონიათ. მაშ, რაზე უწერიათ? ადამიანის პირ-ელი წიგნი – ნის ან ქვის ფიცარი ყოფილა; პირველი მისი კალამი—დანა ან ცული. საღმთო წერილიდან ეიცით, რომ მოსემ, ღვთის ბრძანებით, ებრაელებს ათი მცნება ქვის ფიცარზე დაუწერა. ებრა-ელები ტყეიის თხელ ფიცრებზედაც წერდენ. ფიცრები იმდენათ თხე-ლი იყო, რომ ადერლათ ახევედენ ჯოხზე. ბაბილონის ნანგრევებში პოულობენ აფურებს, რომლებზედაც სამწერლო ნიშნებია ამოჭრი-ლი. რომაელები ბრინჯაოს ან ნის გასამთლულ ფიცრებზე წერდენ. სანთელზე გამოყვანილ ასოებს, თუ უნდოდათ ადვილათ წაშლიდენ და სხვებს ჩაწერდენ ხოლმე. კალმათ რკინის ან ძელის ჩხირსა ხმა-რობდენ, რასაც სტიანს უძახდენ. სტიანს ერთი თავი წვეტიანი ჰქონ-



და, მეორე-კი ნიჩაბიეთ გამტყველებული. ამ თავით სანთელს ახწო-
რებდენ. უფრო გამოსადეგი საწერი მასალა ეგვიპტეში მოიგონეს.

ნამჟღილათ-კი არ ვიცით როდის, მაგრამ ესე, ათასის წლის წინათ
ქრისტეს დაბადებამდე, იქ დაიწყეს მცენარე ჰაპირესისაგან ქალალდის
კეთება. ჰაპირუსი ბალახია, ორი საჭერი სიმაღლე აქვს. ხა-
რობს ეგვიპტეში, ჰალესტინაში, სირიაში და უყვარს ჭაობი ალაგი.
მელავის სისხო ლერი აქვს, რომელიც ტლუდ ადის და ფოთლების
თაგვულით თავდება. ჰაპირუსის ქალალდს ასე აკეთებდენ: ნედლ
ლერს ლაფნებათ ჰევედენ, ლაფნებს სწორე ადგილზე გაშლიდენ,
ასეველებდენ წყლით, ზევიდან დასატკეპნათ მძიმე რასმე დაადებდენ,
მერე აშრობდენ და ასუფთავებდენ, ამგვარათ მომზადებულ ლაფნებს
გადააბამდენ და ჯოხშე დაახვევდენ. აი ეს იყო იმათი ქალალდი. ჯოხს,
რომელზედაც დაწერილი ჰაპირუსი ეხება, ერთ ბოლოზე ჰატარა
ფირფიტა ჰქონდა მობმული და ზედ თხზულების სათაური ეწერა.
ჯოხშე დახვეულ ჰაპირუსს ტყავის ბუფეს უკეთებდენ, ფირფიტა-კი
გარეთა რჩებოდა. წიგნთ საცავებში რომელიმე თხზულების პონა,
რომ მონდომოდათ, ამ ფირფიტებით უნდა მიეგნოთ.

ჯერ ისევ ქრისტეს დაბადებამდის ჰაპირუსს აღმოუჩნდა მეტოქე, ეგ-
რეთ წილდებული ჰერგმენტი, რომელიც ხარის ტყავისაგან კეთდებოდა.
მცირე აზიაში, ქალაქ ჰერებაში, აშენებული იყო ტყავის ქარხანა. სახე-
ლი ჰერგამენტი ამ ქალაქის სახელიდან წარმოსდგა. ებრაელები თო-
რისთვის მცნებებს ახლაც ტყავზე სწერენ. უწინ ტყავისაგან ისეთ
დიდ და გძელ ნაჭრებს აკეთებდენ, რომ მოსეს ხუთივე წიგნი ზედ
იწერებოდა. ჰერგამენტი ჰაპირუსზე ძეირი იყო, მაგრამ სამაგიეროთ
უფრო გამქლე და ორივე გეერდზე დაწერა შეიძლებოდა. ტყავისას
ყოველთვის ისე გძელ ნაჭრებს ექრ აკეთებდენ, როგორც ჰაპირუ-
სისას. ჩადგანაც გძელი ტყავის დახვევა ჯოხშე ძნელი იყო, უშნო
და უხერხული გამოდიოდა, ამიტომ ტყავის წიგნები მოიგონეს. წიგ-
ნები, ახლანდელი ჩეენი წიგნებისთანა იყო, ხოლო, რასაცემოდია,
ფუცლები ტყავისა ჰქონდა.



ჩინელები თავიანთ ნიშნებს სადგისებით ბამბუქის ფიცრებზე სწორდენ. შემდეგ ბამბუქის ხიდან ქალალდის კეთებაც დაიწყეს. ჩინეთიდან ქალალდი არაბებმაც გადაიღეს; არაბებმა კიდევ ეეროპაში შემოიტანეს. ქალალდი როცა არ იყო, ჩევნშიაც ტყავზე სწორდენ. ბევრ ოჯახში აქლაც შეხედებით ტყავზე დაწერილ სიგლებს, საჩუქრის ბარათებს, სხვა-და-სხვა წიგნებს. ტყავზე დაწერილი წიგნები ახლაც ბევრი ინახება „წერა-კითხეის გამაცრულებელ საზოგადოების წიგნთ-საცავში.

მერე ქალალდიც შემოვიდა, მაგრამ ისეთი იშვიათი და ძეგით იყო, რომ თვით მეფეებიც ძლიერ უფთხილდებოდენ. მეფისთვის რომ არზა მიერთმია ვისმე პატარა ქალალდზე, ის პასუხს მეორე გვერდზე მიუწერდა და ისე დაუბრუნებდა, იმდენათ ენანებოდა ახალი ქალალდის გაფუჭება.

ეხლა ქალალდს მჩერებისაგან აკეთებდენ. ბევრი ადამიანი იჩჩენს თავს ქვეყანაზე მჩერების ყიდვა-გაყიდვით. დადის ამ ცისმარე დღეს, ეძებს და ყიდულობს მჩერებს მეონძე. შეგროვილი ძონძები მეძონძებს ქალალდის ქარხნებში მიაქვთ და ჰყიდიან, ამაში ფულს იგებენ. ქალალდის გასაკეთებლათ ახლა ძონძებში დანაყილ ხესაც ურევენ. ხე ნაჩევი ქალალდი უფრო მაღლ იმტვრევა და ღიღხანს ერქანდლებს. რამდენიც ხე მეტი ურევია, იმდენათ ქალალდი ღირსებას ჰყარგავს. ამიტომაც ამგვარ ქალალდს შაქრის გასახევეათ, წიგნების გადასაყდაცებლათ, გაწეოთების საბეჭდავათ ხმარობენ.

ახლა მოგიყენებით, როგორ აკეთებდენ ძონძებ-კონკებიდან ქალალდს. ქალალდის ქარხანაში ძონძებს საძონძე განყოფილებაში შეიტანენ, იქ გადაარჩევენ და დაკუშავენ. ამ საქმეს დიდი ღონე არ უნდა, მხოლო ხელის სიმარდე და მოხერხებაა საჭირო, ამიტომ ამ საქმეს მშენიერათ ასრულებენ ქალები. ძონძების გადარჩევა ფრიად საჭიროა, რადგან მსხვილი ძონძისა უფრო შაქრის ქალალდი, კარღონ და გასახევევი ქალალდი კეთდება, წმინდა მჩერებისაგან-კი უფრო კარგი ღირსების ქალალდს აკეთებენ. საძონძე განყოფილებიდან

ძმნები ეგრეთ წოდებულ საჭრელ დაღაბანდში გადაქეთ. შეხედულობით ეს მანქანა მართლაც და დალაბანდსა ჰგავს, ხოლო ძლიერ ღილია. დალაბანდში სწრაფათ ბრუნავს რკინის კბილებიანი ღრები, შერები ამ დალაბანდში იძერტყება, მტვერი ეცლება; გაბერტყილი ძმნები შემდეგ უშეელებელ რჩთქლის ქვაბში გადაქეთ მოსახარ-შეათ და გასასუფთავებლათ. ორთქლის ქვაბი გრძელ ბოჩქასა ჰგავს და იმოდენაა, რომ შიგ ასთ ფუთი ძმნი ჩატარება. ქვაბი სიგძრზეა დაწენილი და საკუთარი მექანიზმი აბრუნებს; ქვაბს პატარა კარები აქს, საიდანაც ძმნებს ჩატყრიან და შემდეგ კარებს მაგრათ მიჰკე-რავენ. ქვაბში გახურებულ ორთქლს შეუშებენ და ქვაბს შექანიზ-მით აბრუნებენ. იმოდენა ძმნიც ქვაბთან ერთათ ბრუნავს და იჩე-ნა, ორქლი ყველგან უელის, ყველგან ხედება და ძონძსა ხარშეას. ძმნებს ქონი და ჭუკუი ეცლება და ორი დღის ხარშეის შემდეგ ძმნი თეთრი გამოდის. ქვაბს გააჩერებენ, ორქლს გამოუშებენ, შემდეგ კარებს გააღებენ და ძმნებს გამოიღებენ. როგორც ქვაბში ძმნების ჩაყრა, ისე გამოღება ყველაზე ძნელი საქმეა,—კაცი შიგ უნდა შეძერეს და იქ იმუშაოს.

გამოხარშული და ჭუკუ-გაცლილი ძმნები შემდეგ განყოფი-ლებაში გადაქეთ, სადაც ძმნებს თხელ ფაფას დაამგზავრებენ. აქ ატაკზე ხის ნაევებია; ნაეში, შუაგულ ადგილზე, მოწყაბილია ისე-თივე დალაბანდი, როგორიც ზეეთი იყო აწერილი, მხოლოდ ჩანგ-ლების მაგიერ ღერძზე აქ მჭრელი დანებია დაზაგრებული. ღრები წამში ოჩას ორმოც-და-ათჯერ ბრუნავს. ნაეს ნახევრამდე წყლით ისებენ და შიგ ძონძს ჩატყრიან. დალაბანდი რომ მუშაობას დაიწ-ყებს, ღერძის დანები ჰკუწავენ და ჰკეპავენ ძონძს. დალაბანდს იმ-დენ ხანს ამუშავებენ, სანამ ძმნები მთლათ არ დაიკეპება და თხელ ფაფას არ დაემგზავრება. კარგი ქალალდის გამოსაყვანათ ძმნების ფაფას კიდევ ათეთრებენ, თუმცა იგი ამდენი წყალების შემდეგ ისე-დაც თეთრია. ფაფის გასათეთრებლათ მექარხნეები „ქლორს“ ხმა-რობენ. „ქლორი“ ჰაერის მზგავი ნივთიერებაა, ჯანისთვის მავნებე-

ლი და მძიმე სუნისა. ფაფას ქვის დიდრონ ყუთებში ჩასდებენ, ყუთებს დაწულავენ, ფისით გადალესევენ და შემდევ ქლორს შეუშევებენ. ქლორი ძონძების ფაფას ათეთრებს. თუ ფერადი ქაღალდის გამოყენა უნდათ, ქაღალდის ფაფას სხვა და-სხვა საცერავი წამლებით ჰლაპავენ. ასე დამზადებულ საქაღალდე ფაფისაგან შეიძლება ორ გვარი ქაღალდი მომზადეს, — ერთი ნაჩერეტებიანი, რომელშია მელანი გაღის, მაგალითათ: საშრობი ქაღალდი, საბეჭდი ქაღალდი და გასახევები ქაღალდი; — მეორე უფრო მკერიეე და მაგარი, რომელიც მელანს არ უშევებს, უფრო სუფთაა, ამ ქაღალდსა ეხმარობთ საწერათ. პირველ გვარ ქაღალდს უწებო ქაღალდს ეძახიან, მეორეს კი წებოიანს. ქაღალდი რომ წებოიანი გამოვიდეს, საქაღალდო ფაფას წებოს უმატებენ. წებო კიდე ასე მზადდება: ფიჭვის წებოს წყალში სხნიან და შაბასა და თიხას ურევენ. ამით სრულდება საქაღალდო ფაფის მომზადება.

ახლა შევიტყოთ, როგორ აკეთებენ თეით ქაღალდს ამ თხელი
ფაუისაგან. ამის შესატყობით შევიდეთ ახლა ქაღალდის ქარხნის უძ-
თავრეს გზურულებაში, სადაც ქაღალდის მკეთებელი მანქანა სდგას.
იმის მისახევდრათ, თუ როგორ აკეთებს მანქანა ქაღალდს, გავაკე-
თოთ ერთი თაბაზი ქაღალდი სულ უბრალოთ, ისე როგორც ძევ-
ლათ აკეთებდენ. ავიღოთ საქალდო ფაფა და გასუფთავებულ ქვის ფი-
ცარზე დავასხათ, დაფაწვეთ ზევიდან მეორე ამისთანავე ფიცრით და
რამდნენსამე ხანს დაუტოვოთ გასახმობათ; ამას შემდეგ ქვის ფიცრებს
მოაშორებენ და ერთი თაბაზი ქაღალდი მზათ არის. ჩენ დაროში
ასე ქაღალდს აღარსად აკეთებენ; ახლა ყველგან ქაღალდის მანქანე-
ბია შემოღებული, რომლებიც უფრო კარგს ქაღალდს აკეთებენ და
უფრო ჩეარაც. დიდ ბოჭკაში საქაღალდო ფაფა, იქიდან ფაფა
ყუთში გადაღის; ამ ყუთიდან გადაღის მეორე ყუთში, რომელშია უ-
მოწყობილია ანდიგარდმო რკინის კბილებიანი საეარცხელი (ანუ სა-
ჩეჩელი) ფაფის მურკლების დასაჭრათ. მეორე ყუთიდან ფაფა მა-
თულის წმინდა ბადეზე გადაღის, ამ ბადეს საცერს ეძახიან. სა-

ცრი საკუთარი მანქანით ისე მოძრაობს თითქო სცრისო, უფრო იშურება და წყალი ბადეში გადის, რის შემდეგაც ფაფა უფრო მკერიე და მაგარი ხდება; შემდეგ ჯერ ერთ საკორავ (ცილინდრ) ქვეშ გაიცლის, მერე ორ საგორავს შუა. საგორავებზე ნაბადია გადაკრული. გამაგრებული ფაფა ამ ორ საგორავს შეა პრეცენდება, იტკეპნება და ქაღალდის ფურცელს ემზგავსება. ჯერ ისევ სეველი ქაღალდი მაუდებელი გადადის და მაუდთან ერთათ სამდენსამე საგორავ შუა გადის. აქ მაუდი კიდევ უფრო აშრობს ქაღალდს. კუელა ამის შემდეგ ქაღალდის ფურცელი თუჯის ცარიელ საგორავებს ეხვევა, რომლებიც გახურებულია შიგ გაყვანილი ცხელი. ორთველით, აქ ქაღალდი სრულიად შრება და ბოლოს უკანასკნელ საგორავს ეხვევა. ეს საგორავი რომ გაიგება, აიღებენ და სხვას გაუკეთებენ.

ამგარათ დამზადებულ ქაღალდს ფურცლებათ სჭრიან და დასტადასტათ აწყობენ. ქაღალდის მანქანა ისეთი სისწრაფით მუშაობს, რომ დღე და ღმერთი შეუძლიან 50 ვერსის სიგძე ქაღალდის ფურცელი გააკეთოს. თუ ქაღალდზე სახეების ან ხაზების გამოყენა უნდათ, მაეთულის ბადეზე უფრო მსხვილი მაეთულით სახეები ან ხაზები გამოჰკავთ და ქაღალდიც ხაზიანი ან სახეებიანი გამოდის. ქაღალდის ფურცლებს ზოგს დიდს აკეთებენ, ზოგს პატარას, იმის მიხედვით, რისთვის უნდათ ქაღალდი. ფოსტისას და უბრალო საწერ ქაღალდს ორათ ჰქეცავენ და ექვს-ექვს თაბახიან რეეულებს აწყობენ. საბეჭდი ფურცლები დიდრონებია, საწერ ქაღალდზე სამჯერ მაინც დიდი და დაუკეცავს ხმარობენ. ამას ჰქეიან „საბეჭდა ფურცელი“.


დაბეჭდილ ფურცელს ორათ, ოთხათ, რეათ, ოექსმეტათ და კიდევ მეტათ ჰქეცავენ და ამგარათ სხვა-და-სხვა ტანის წიგნები გამოჰკავთ. უფრო ხშირათ „საბეჭდ ფურცელს“ რეათ ჰქეცავენ.

გაზეთების საბეჭდათ ქაღალდის გძელ ფურცელსა ხმარობენ, რომელიც კოჭჭა დახვეული. ფურცელი რომ გაშალო თითო რამდენიმე ვერსი გამოვა.

ქალალდს აკეთებენ საწერს, სააღმომოს, ფოსტისას, პაპირუსისას, სახატაეს, გასაშრობს, გასახვევეს, საკარდონეს და სათამაშოს. პაპიროსის ქალალდი ყველა ქალალდზე თხელია. გასახვევი ქალალდ ფერადია: ზოგი ლურჯი, ზოგი რუხე. მარტო შაქრის გასახვევი ქალალდი რუსეთში ყოველ წლივ ასრ მილიონი თაბაზი კეთდება. საბეჭდი ქალალდი ყველა სხვა ქალალდზე მეტი იხარჯება და საწერ ქალალდისაგან იმითი განსხვავდება, რომ უკანასკნელი უფრო სუფრა თაა, ხოლო პირეელი ხაოიანი. ამისთანა ქალალდზე უფრო კარგი აჩნდებიან დაბეჭდილი ასოები.

ბოტე ელიოზიშვილი.





თავ-განწირული უპილი.

ინელებს ძალიან ეჯაერებათ მოტყუება. არაეი-
თარ დამნაშავეს ისე სასტიკათ არ ეპურობიან,
როგორც მატყუარას. აქ ძევლადგანვე არსე-
ბას ისეთი ჩეულება, რომ თუ კაცს შეამჩნიეს და დაუმტკიცეს
ისიმე მოტყუება მაშინევ კანონის ძალით ხელებს მოჰკვეთენ. აი
ავალითი, თუ როგორ მკაცრათ ეპურობიან ჩინელები მატყუარას.

ჩინეთის ხელმწიფის ერთ კარის-კაცს დაუმტკიცდა მატყუარო-
ს. ბოგდიხანი—ჩინეთის იმპერატორი—დიდათ განრისხდა კარის-კა-
ცს ამგვარ ქცევაზე და ბრძანა დაესაჯათ ჩეულებისამებრ: მოეკვე-
თ ორივე ხელები.

სასჯელი მომზადებული იყო მატყუარასათვის. ხალხი უცდიდა
მს საპყრობილედან გამოყვანას და დასჯას. ამ დროს მოირბინა კა-
რის-კაცებთან დამნაშავის პატარა ქალმა—სიუ-ლიენმა და დაუწყო-
ბო ხეეწია-ვედრება, რომ ნება მიეცათ ბოგდიხანის ნახეისა.

პატარა ქალის ამგვარი თხოენა ადეილი ასასრულებელი არ
იყო. ისინი ვერა ბედავდენ წარედგინათ პატარა ქალი მრისხანე მე-
ფის წინაშე, მაგრამ პატარა ბაეში იმდენს ეხვეწა კარის-კაცებს მღუ-
რაჟ ცრემლებით, იმდენათ თავი შეაცოდა, რომ მათ გარდაწყვი-
შეს მიეყვანათ იგი მრისხანე ბოგდიხანი.

როდესაც სიუ-ლიენმა დაინახა ბოგდიხანი, რომლის ტანსაცა

მელი ძეირფასი თეალ-მარგალიტით მოჭედილი იყო და მზესავთ
ელვარებდა, დაემხო პირქვე მის წინ და დაუწყო ეეღრება:

— დიდებულო ხელმწიფე, — უთხრა პატარამ ბოგდიხანს - ჯ
გაფიცე, რომ მამა ჩემი უნდა დაისაჯოს; მას ორივე ხელები უნდ
მოჰკვეთოთ. გაეგე ეს თუ არა, შენს დიდებულებასთან გამოვეშუ
რე. მოილე მოწყალება და მამიჩემის ნაცვლათ მე მომკვეთე ხელუ
ბის და პატარამ გაუშეირა მეფეს თაეისი პაწია, უმანკო, ნორჩი ხე
ლები.

— ეს ხელები, — განიმეორა პატარამ — ეკუთვნიან ჩემ უბედე
შშობელ მამას! ამ ხელებს არ შეუძლიან აცხოვეროს მთელი ოჯახი:
ჯაფისაგან დასუსტებულ-დაავადებული დედა-ჩემი, აეათმყოფი ჩემი
ძმა და ძუძუთა ბავში, ჩემი და. მიიღე მეფეო, გვევარები, ეს ხელუ
ბი, უბძანე მოეპყრან ამათ ისე, როგორც მამიჩემის დამნაშავე ხე
ლებს, რომ ამით განთავისუფლდეს სატანჯველისაგან მამა-ჩემი,
რომელიც არის მაცხოვერებელი და შემნახველი მთელი ჩერენი ოჯა
ხისა.

ბოგდიხანი განკუირდა ბავშის ამგვარ თაფ-განწირვაზე და, რომ
ვამოყუადა, რამდენათ მართალი და გრძნობიერი იყო ყმაწეილის
თაფ-განწირვა, ააყენა ზეზე პატარა და უთხრა:

— ადექ, ნება შენი ასრულდეს, თბოენას შეგისრულებ! დე
მოჰკვეთონ შენი უმანკო და უდანაშაულო ხელები მამი შენის ცოდ-
ვიანი ხელების მაგიერათ.

ამ სიტყვების შემდეგ მოუწოდა მეფემ კარის-კაცებს და უბძანა
წაეყვანათ პატარა ქალი იმ ალაგას, სადაც დანიშნული იყო იმისი
მამის ხელების მოკეეთა. ამავე დროს უნდა მიეყვანათ სასჯელის;
საცქერლათ ქალის მამაც, რომელიც იქვე საპყრობილები იყო და
ტუსალებული.

სიუ-ლიენი გაიყვანეს შუა მოედანზე, სადაც იდგა კაცის სისხ-
ლით შელებილი ხელების საჭრელი მანქანა, მიუბეს პატარას ხელე-
ბი რკინის რგოლებზე და პირებდენ სასჯელის ალსრულებას. აა



კუდეც გაემართა ჯალათი ამოლებული მახეილით პატარასაკენ ხე-
ლების მოსაკეთათ. პატარას შეეშინდა, გულმა ცემა დაუწყო, სახეს
საცრისფერი დაედო, მაგრამ თავი ისე შეიმაგრა, რომ არც-კი განძ-
ჩულა და ერთი სიტყვაც არ დაუძრავს პატივების შესახებ. ხალხი
შენათ გარდაიქცა, ისე უნძრევლათ იდგენ თითქოს გაქვავებულა-
ნო; მთელი ხალხის ყურადღება იყო მიპყრობილი პატარა გმირისა-
კნ: ზოგს თვალებიდან ნაკადულიერი ცრემლები სდიოდა და ზო-
გს თვალები გაშტერებით აცქერდებოდენ მამის მოყვარულ ქალს.
ა ამართა კიდეც ყმაწევილის ტიტველა ხელების ზემოთ ჯალათის
მახეილი და უნდოდა...

ერთი წამი და პატარა სიუ-ლიენი თავ-მოჭრილ ქათაშავით
დაიფხრიალებს მანქანის ქვეშ!

ამ დროს წამოლდა წინ ბოგდიხანისაგან გამოგზავნილი კა-
რის-კაცი, აუქნია ხელი ჯალათს და ჯალათმაც დაუშეა ძირს მახ-
რილი და ჩაგო ქარქაშში.

ხალხში გაისმა სიხარული და პატარა ქალის ქება-დიდების შე-
სხმა. ამავე დროს მიპგვარეს ქალს სატუსალოდან ახლათ განთვი-
სუფლებული მამა, რომელმაც მაგრათ ჩაიკრა გულში თავის მსხნელი,
მოსიყვარულე, გონიერი და სამაგალითო გოგონა.

ბოგდიხანშა აპატია კარის კაცს დანა მაული და ბძანა, რომ
ამას შემდეგ აღარავინ დაესაჯათ იმ ალაგას, სადაც საცდელათ გა-
მოაყვანინა მან პატარა ქალი.

შუაგულ მოგდანზე ახლაც ამართულია ქვის სვეტი, რომელ-
შიაც ჩასმულია მარმარილოს ფიცარი, ოქროს ასოებით, ზედ წარ-
წერით: „აქ სიუ-ლიენს, მეფის კარის-კაცის იხუნგის პატარა ქალს,
უნდოდა თავის სიცოცხლე მამის გამოსახანელათ შეეწირა. ნეტარება
იმ მამას და იმ ქვეყანას, რომელნიც აღზრდიან აღისთანა ქალებს
და ასწავლიან ამგვარ ჭეშმარიტ, უმანკო სიყვარულს!“

გ. ფარად შეიძი.

(რუსულიდან)



მონაღირეს შვილი სამ-ნაჭერა.



(ზღაპარი)

ყო და არა იყო-ჩა, ღვთის უკეთესი
რა იქნებოდა, იყენე ერთი ცოლ-ქმა-
რი. კაცი იყო მონაღირე და ნადი-
რობით ირჩენდა თავს. შეილი ან
ეძლეოდათ და არც იცოდენ რა იყო
უშეილობის მიზეზი. ამ მონაღირეს
ჰყავდა კურინი და გონიერი ძალლი.
ერთ დღეს, ჩვეულებრივ, მონაღირე წაეიდა სანადიროთ. ჯერ
ბევრი იარა, იხტიალა, მაგრამ ნადირის კვალსაც-კი ვერ მიაგნო,
ბოლოს დაინახა მთელი ჰეროვა შეელებისა. მონაღირე მარჯვეთ
ამოეფარა თავის ძალლით ბუქებს. აი გამოჩდენ შეელებიც, რო-
მელთაც ლამაზათ მოელერებიათ ყელი და უდაჩდელათ მოდიოდენ.
წინ მოუძლოდა ერთი უფრო მაღალი ტანისა და ყველაზე მშეიდი
და ლამაზი შეელი. იმისი უმანყო თვალები ისე ტკბილათ გამოიყუ-
რებოდენ, რომ მონაღირეს სიბრალულით ხელები აუკანკალდა და
კინაღამ თოვე სელიდან გაუვარდა, მაგრამ ამ სიბრალულმა დიდხანს
ან გაატანა, იგრიალა თოვემა და სწორეთ ის მოწინავე შეელი მი-
წახე გაიშლართა; დანარჩენი შეელები ერთ წამს შიშისაგან გაქვა-

ფრ და რაწამს დაინახეს მონადირე და მისი ძალლი მაშინვე აქეთ-იქით გაიქცენ; დარჩა მათი წინამძღვრლი ტყვეისაგან დაკოდილი. მონადირის ძალლი საჩქაროთ გადახტა, მიუახლოედა შეელს და იმ წაშვე უკან დაიწია. შეელი კიდევ სუნთქვედა, კანკალებდა და ამი-ტომაც ძალლს თითქო შეეშინდა. მონადირეც მიუახლოედა შეელს, თვეზე ხელი გადაუსეა მომაკვდაეს, რომელიც ოდნავ შეინტრა და მაშინვე დალია სული. მონადირემ ჯერ კარგა ხანს სიბრალულით უყურა, მერე ჩამოვკიდა ხეზე და დაიწყო ტყავება. როცა გაათავა. დაანთო ცეცხლი, გათალა შამფური, ჩამოსკრა საუკეთესო ნაჭერი და შესაწევათ დაუდო ცეცხლზე.

უცებ ძალლი წამოვარდა და გაექანა იქით მხარეს, საიდანაც უეხის ხმა შეესმა. შეშინებულმა მონადირემ თოვს ხელი მოაელო, ჰაგრამ ისევ ძირს დაუშეა, რადგან დაინახა, რომ ეიღაც ღრმა მოხუცი მოდიოდა. ძალლი მიუახლოედა თუ არა მოხუცს მაშინვე უკან დაბრიუნდა და ლაქუცით მოიჩინა პატრიონთან. მონადირეს რაღაცნაირათ გულმა ძგერა დაუწყო, ვერ გაეგო ვის იყო ის მოხუცი და ან საი-დან მოდიოდა. მომავალი მიუახლოედა მონადირეს, სალამი მისცა და დალოცა. მონადირემ მადლობა გადაუხადა და სთხოვა, რომ დამჯ-დარიყო. მოხუცმა შეუსმინა თხოვნა და მის პირდაპირ ქვაზე ჩამოჯდა. მონადირემ მოხუცს წვადი შესთავაზა, იმან მადლობა გადაუხადა და დაუმატა, „რომ კბილები არა მაქეს და ვერ გიახლებიო. და რო-დესაც შეიტყო რომ მონადირე უშეილო იყო ანუგეშა:—შენ ცოლს მიეცემა შეილი, აი, ამ შეელის ღვიძლისაგანაო. გეტყობა არა გჯე-რა, მაგრამ აბა სცადე, ღვიძლი გასჭრი სამათ და შეაჭამე შენ ცოლს ერთი ნაჭერი დილით, ერთი შუადლისას და ერთიც საღამო-სო. უკეცელათ გეცოლებათ შეილი და სახელათ სამ-ნაჭერა დაარქ-ვთ, ის იქნება შენი მხსნელიო“ მოხუცმა ეს სიტყვა გაათავა თუ არა მყისვე უჩინარ იქმნა. მონადირეს უნდოდა მადლობა გადაეხადა მოხუცისათვის, მაგრამ თვალიც ვეღარ მოჰქრა.

მონაღირე მაშინვე გაეშურა შინისაკენ და ისე მოიქცა, როგორც
მოხუცმა დაარიგა. რამდენიმე ხნის შემდეგ ეყოლათ ვაჟი და, რო-
გორც მოხუცმა უთხრა, უწოდეს სახელათ სამ-ნაცირა.

ყმა შეიღილი ისეთი ლამაზი და მშენიერი დაიბადა, რომ ყველა
იმის მნახეველები მონადირეს და მის ცოლს შენატროდენ, რა კარგი
შეიღილი გყავთო; ვინც წლით იზღებოდა მონადირის შეიღილი თეთ
იზღებოდა, ხუთი თეთისა რომ შეიქნა მნახეველებს ხუთი წლისა ეგო-
ნათ.

ერთხელ სამ-ნაკერას მამა წაეიღა სანადიროთ, მოჰკულა ირემი
და დაუწყო სამწვადეს წევა. ამ დროს ისე მაეჩენა მონადირეს თით-
ქო მიწა ინძრეოდა, გაიხედა და დაინახა, რომ უზარმაშარი მდევი
მოდის. ძალი შიშისაგან პატრიონს ამოეფარა და დაიწყო საცოდავათ
წემუტუნი. მონადირესაც ძრიელ შეეშინდა. მდევმა რომ კაცი დაი-
ნახა გაეშურა იმისაკენ კბილების ლრკენით. მოუახლოედა თუ არა
ჯერ იჩემს სწვდა მძღვრი ხელებით და პატარა ლურმასაეით გავ-
ზარა გაუმაძლარ მუცელში. მონადირე შიშისაგან, კანკალებდა, და-
რწმუნებული იყო, რომ იმასაც ირმის დღე დაადგებოდა და მოა-
გონდა ის შეელი, რომელიც ისე შეუბრალებლათ მოჰკულა: — ახლა
მე ვიღუპები იმ შეელისაეით, ამ უზარმაშარ და გაუმაძლარ მდევისა-
განო, გაიფიქრა მონადირემ. ამ ფიქრის დროს, მდევმა ამასაც მოაე-
ლო თავისი მძღვრი კლანჭები, გადაულაპა და გაუდგა გზას. ძალი-
მა იღმუელა, იღმუელა და კუდ-ამოძუებული გაიქცა შინისაკენ, რა-
თა შესახარი ამბავი სახლობისთვის ეცნობებინა.

სამ-ნაკერა მაშინვე მიხედა, რომ რამე უბედურება შემთხვევის
მამაქინისო, დედამ-კი დაიწყო ტირილი და გლოვა. სამ-ნაკერა მიიღო
და დედასთან და უთხრა:—მე ახლა ათი წლისა ვარ, ნება მომეტი
წავიდე და დაეიხსნა მამა განსაკუდელისაგანო. დედა ბევრს ემუძღვა,
შენ მაინც ნუ დაიღუპავ თავსაო, მაგრამ სამ-ნაკერა აღარ მოეშვა
და დედამიც ნება მისცა.

აღგა სამ-ნაკერა, გადაიკიდა მხარხე მშეილდ-ისარი, წაიყვანა



ძალი და გაუდგა გზას, მხოლოთ არ იცოდა საით უნდა წასულია-
ყო, მაგრამ ძალი გონიერულათ გაუძლვა წინ სამ-ნაჭერას და მი-
იყვანა იმ ადგილას, სადაც მდევმა მონადირე გადაყლაპა. სამ-ნაჭერა
დარწმუნდა, რომ უბედურება აქ უნდა მომხდარიყო, რადგან მამის
იარაღი იქ ეყარა. იმანაც მოჰკულა ირეში და დაუწყო სამწყადეს წვა.
ამ დროს თითქო მიწა იძრა. გაიხედა სამ-ნაჭერამ და დაინახა უზარ-
მაზარი მდევი. იფიქრა, უთუოთ ეს უნდა იყენეს მამიჩემის მკელე-
ლიო.

მდევმა, დაინახა თუ არა სამ-ნაჭერა, დაუძახა: სასიკედილოთ მო-
ემზადეო:

სამ-ნაჭერამ უპასუხა:

— შორიდან ძალლებიც იყეფებიან, ახლოს მოდი და გაგცემ პა-
სუხსაო.

გაგულისებულმა მდევმა მიაშურა სამ-ნაჭერასკენ, უკანასკნელმა
სტყორუნა ისარი და გვერდში გაუყარა, მდევმა ისარი გამოიძრო
და მოეარდა სამ-ნაჭერას, უნდოდა ხელი მოევლო და დედამიწაზე
დაენარცხებინა, მაგრამ ადგილიდანაც ვერ დასძრა. მაშინ სამ-ნაჭე-
რამ წააელო ხელი მდევი, აიყვანა და ისე მაგრა დასუა ძირს, რომ
მდევმა განუტევა ბოროტი სული. სამ-ნაჭერამ გაუპო მდევს მუცე-
ლი და გაანთავისულა საყვარელი მამა, რომელსაც თმა სრულიად
გათეთრებოდა ჯაერისაგან. შეილმა წამრ.იყენა მამა, გზაზე ბეერი
ნადირი დახოცეს და დაბრუნდენ მშეიღლობინათ სახლში.

ამას შემდეგ სამ-ნაჭერა დადიოდა სანადიროთ და ნანადირეეით
კეებაედა მშობლებს. სამ-ნაჭერამ შეირთო ცოლი და ისეთი ქორწი-
ლი გადაიხადა, რომ ჩიტის რძეც-კი არ დაჰკლებიათ.

მე იქ ვიყავი, ყანწით ღვინოს ესვამდი, ღვინო ულვაშებზე გარ-
ბოდა და პირში ერთი წევთიც-კი არ ჩასულა.

აღ. ცუცქირიძე.

პეტრი ისტორია.

(ერნესტ ლავისისა)

କଳେଖିଲେ ଦିନ୍ଦୁରିଲା.



მშერია და ჰროვაინციები. რომაელებმა ბევრი ქვეყნები და
იპყრეს. კეიისრები ანუ იმპერატორები ომიბდენ და იმორ-
ჩილებდენ სხვა·და·სხვა ქვეყნებს ასი წლის განშევლობაში.
ისინი უკან ბრუნდებოდენ მხოლოდ მაშინ, როცა მიაღ-
ებოდენ უდაბნო ადგილს ან დიდს მდინარეს, როგორც მაგალი-
თათ რეინს და დუნაის. ყველა ამ დამორჩილებულ ქვეყნებისაგან შე-
ადგინეს რომის ერის სასკელმწიფო. ამ ქვეყნებს ეწოდება დღეს ინგ-
ლისი, იტალია, საურანგეთი, შეეიცარია, ბაერია, აესტრია, მთელი
ლი ოსმალეთი, მთელი მცირე აზია, სირია და მთელი ჩრდილოეთ
აფრიკა. ეს განუსაზღვრელი სივრცე იყო დაყოფილი 46 პროვინ-
ციებათ. ამ დიდ პროვინციებში გზაენიდენ რომაელ მმართველს, რო-
მელიც განავებდა ჯარის საქმეს და მსაჯულის დანიშნულებასაც ას-
რულებდა. გზაენიდენ აგრეთვე რომაელ მოხელეს ხარკის მოსაკრე-
ფათ. ეს მმართველნი, მმართველობის მაგიდრ, უურო რომის ქვეშეერ-
დომთ ცარცუავდენ. სენატი ყოველისფრით ნებას აძლევდა მათ. რო-
დესაც კეიისრები გამწერს დენ ისინი თეალ-უტრს ადევნებდენ მმართ-
ველებს და არ აძლევდენ ნებას, რომ ცუდათ მოქცეოდენ პროვინ-

ციების მცნობებლებს. ამისათვის პროეიციელებს დიდათ უხარი-
დათ და თითქმის ბედნიერათ გრძნობლენ თაეს, როცა სენატის ად-
გილი კეისრებმა დაიჭირეს.

2) თოშეტე კეისარი. თოშმეტ პირეელ კეისარს, რომლებიც
შეფობდნ რომში ქრისტეს დაბადების წინ 28 წელიდგან—ქრისტეს
დაბადების შემდევ 96 წლამდე, უწოდებენ საზოგადოთ ათორშეტ კეი-
სარს. იმათ ჰქონდათ დიდი და განუსაზღვრელი უფლება; ყველანი
ემორჩილებოდენ იმათ ბრძანებას და მტკიცეთ სწამდათ, რომ კეი-
სარი იყო თეთი ცოცხალი კანონი. ზოგი მათგანი ამ განუსაზღვ-
რელ უფლებით სარგებლობდა სახელმწიფოს სასარგებლოთ, მაგა-
ლითათ აეგუსტი, ტიტუსი და ვესპასიანე. მაგრამ უმრავლესობა-კი
ცუდათ ხმარობდა ხალხისაგან მინჯებულ ამ უფლებს და ხშირათ
დიდ ბოროტებას ჩადიოდა: ტიბერი, ნერონი და დომიციანი იყენ
მეტათ ძუნწი და სასტიკი; ისინი სიკელილით სჯიდენ ისეთ კაცებს,
რომლებიც მათ არ მოსწონდათ და ართმევდენ მდიდრებს ქონებას.
ზოგი კეისარი მთლათ გიფურათ იქცეოდა. მაგალითათ, კალიგულა
ბრძანებას სცემდა, რომ მისთვის თაყვანი ეცავ ისე, როგორც დმიტ-
რისათვის და იმ ცხენს, რომელზედაც თითონ იჯდა ხოლმე კონსუ-
ლის ლირსება მისცა. კლავდიუსი და ნერონი, რომ შმართეველობის
შრომა თავიდამ მოეშორებინათ, მართვის ნებას აძლევდენ მონებსა
და განთავისუფლებულს კმებს.

3) ანტონინები. ხუთი კეისარი, რომლებიც ამათ შემდევ მე-
ფოსიდენ (96—192 წ. ქრისტეს დაბადების შემდევ) ძლიერ კევიანე-
ბი იყენ, იმათ უწოდებდენ ანტონინებს. რომაელებს ამათ დრომ-
დე არა ჰქონიათ დაწერილი კანონები, თითოეული მსაჯული თეი-
თონ ადგენდა კანონებს და საკუთარის კანონით სჭრიდა სამართალს.
ანტონინებმა გამოსცეს ბრძანება სამუდამოთ დაედუინათ ეს კანონე-
ბი, და თავისთავადაც მოუმატეს ახალი დებულებანი. მებატონეებს
მანამდე სრული უფლება ჰქონდათ თავიანთი მონების ხოცისა; ეს
იმათ აღეკრძალათ 131 წელს. ანტონინებმა შეადგინეს რომაელთა



სამართლად ისე გონიერულათ, რომ იმ დროიდან ამ სამართლოს დაწერილ სისტემეს უწოდებდენ. ეროვნის დღესაც ბევრი რამე აქვთ გადაღებული თავის რჯულის დებულებებში, რომაელი უსამართლიდან“. ანტონინები იყვენ აგრეთვე მამაკაც და გამოცდილი სარდლები. იმათ ადეილათ მარშორეს რომს ბარბაროსი ხალხი, რომელიც რომის იმპერიას აოხრებდა მდინარე დაუნაის გამა ნაპირებიდან.

4) რომის ცივილიზაცია. რომაელნი პირეელში გაუნათლებელი იყვენ. იმათ ეხერხებოდათ მხოლოთ ბრძოლა და მიწის მუშაობა, მაგრამ რადგანაც ხშირი მისელა-მოსელა ჰქონდათ აზისა და საბერძნეთის ერებთან, ამიტომ ადეილათ შეისწავლეს წარჩინებულ თხზულებათა წერა, საჯაროთ სიტყვების წარმოთქმა, მშევნიერ ძევლებისა და ქანდაკებათა კეთება. იტალია, საფრანგეთი, ისპანია და ინგლისი დიდხანს იყვენ ველურ მდგომარეობაში; ქალაქები იმათ არა ჰქონდათ და ქვეყანა დაფარული იყო უზარმაზარი ტყეებით. როცა რომაელებმა დაიპყრეს ეს ქვეყნები, იმათ გააკეთეს გზატკეცილები; დაარსეს ქალაქები, ააგეს ტაძრები, თეატრები და გააკეთეს საზოგადო აბანოები და შეასწავლეს მკეილრ ყეველა ის ხელოვნება, რომლებიც იმათ ისწავლეს ბერძნებისაგან. ყეველა მცხოვრებლები ლაპარაკობდენ რომაელებსაებ ლათინურათ და ცხოვრობდენ, როგორც რომელები.

5) ჭარის პატონობა. ანტონინების შემდეგ (142—154 წ.) გამეფებული იმპერატორები თავისუფლათ ვერ მმართველობდენ. ჭარის-კაცები მეტათ გაბატონდენ. თუ კეისარი არ მისცემდა იმათ ბლომათ ფულს, ან და არ დაეთანხმებოდა რაზედმე, ჰკლავდიენ და სხვა კეისარს აყენებდენ. ის დროს რომის ჭარი რამდენიმე იყო: ერთი ინგლისში, მეორე მდინარე რეინის ნაპირებზე, მესამე დუნაიაზე, მეოთხე სირიაში. ხშირათ მოხდებოდა ხოლმე, რომ ერთმანეთის დაუკითხათ, თითოეული ჭარი აირჩევდა კეისარს და შემდეგ ერთმანეთს ებრძოდენ. ათი წლის განმავლობაში (259—970 წ.წ.) ერთსა და იმავე დროს ოცამდე კეისარი მეფობდა. ზოგი კეისარი ძლიერ



უცნაური იყო, მაგალითად ჰელიოგაბალი, ახალგაზდა სირიელი მღვდელი, რომელიც ატარებდა ქალის ტანისამოსს.

6) დაფუძნება ქონსტანტოლისა. ბოლოს გამოჩენდენ ისეთი იმპერატორები, რომლებმაც, როგორც უწინ ჯარის-კაცებათ ნაშენები, იმდენი გამჭრიანობა გამოიჩინეს, რომ ქვეშევრდომები დაიმორჩილეს. შინაურული ომების ასაკილებლათ იმათ გადასწიტეს, რათ თანასწორი კრისარი ყოფილიყო: ერთი დასავლეთში, მეორე აღმოსავლეთში. შემდეგ კონსტანტინე კეისარმა 326 წ. ახალი ქალაქი ააშენებინა, სახელათ კონსტანტინეპოლი. ამ ქალაქის აშენებას მოუნდენ რომ წელიწადს; ეს იყო დიდი ქალაქი, რომის მსგავსი. იქ ძალით გადაასახლეს მახლობელი ქალაქების მცხოვრებნი და აღმოსავლეთის იმპერატორმა კონსტანტინეპოლი გახდა თავის სატახო ქალაქათ.

7) აღმოსავლეთის იმპერია. ამას შემდეგ რათ იმპერატორი იყო. ერთი კონსტანტინეპოლში, მეორე იტალიაში. ესენი ისე-კი არ ცხოვრობდენ, როგორ რომის კეისრები. აღმოსავლეთის იმპერატორები ატარებდენ ძვირფასი ქვებით მოჭედილ გეირგეინს, ისნდენ დიდ სასახლეებში ოქროს ტახტზე, ტანთ ეცვათ გრძელი და განიერი ოქრო-შედით ნაკერი ტანისამოსი.

უკულა, ეინ-კი მიუახლოედდოდა იმპერატორს, მუხლს იღრეკდა მათ წინაშე და თაყვანს სცემდა. იმათ გარს ეხება დიდი ამაღლა და მსახურნი, რომლებიც თაყვანს სცემდენ მათ, როგორც ღმერთს. იმათი სასახლე ძრიელ ჰელიო ჰეროდოტ სპარსეთის მეფეების სასახლეებს. ამ სახელმწიფოს ერქვა, აღმოსავლეთის იმპერია.

8) დაცემა დასავლეთის იმპერიას. იმპერატორებს უნდებოდათ დიდ ძალი ფული, სასახლისა და ჯარების შესანახათ. ამისათვის უველა ქვეშევრდომით დიდ გადასახადს ახდევინებდენ. და თუ რომელიმე მკეიდრი ეკრ შესძლებდა შეწერილ ხარჯის გადახდას, მაშინ იმ ქალაქის მცხოვრებ მდიდრებს ახდევინებდენ მათ მაგიერ. ასის წლის განმავლობაში თითქმის უკულა მდიდარი კაცები გაღარიბდენ; სა-

ხემწიფოში აღარ მოიპოვებოდა საქმაო ხალხი არც მიწის შესამუშავებლათ არც ქეყუნის დასაცეველათ. ბარბაროსთა ლაშქრიბი შეესივნა რომის იმპერიას ყოველ მხრიდან და 476 წელს ერთი ლაშქრის წინამძღვრობა, ოდოაკრმა ტახტიდან, გადაავდო უკანასკნელი რომის იმპერატორი და იმ დროიდან შეფობდა მხოლოთ ერთი იმპერატორი კონსტანტინეპოლიში.

ქრისტეს სარწმუნოება.

1) ძველი სარწმუნოება. ბერძნებისა და რომაელების რწმენით ქვეყნიერებას მართავდენ რამდენიმე ღმერთები, რომლებსაც ჰქონდათ ადამიანის სხეული. იმათ გამოსასახავათ ბერძნები აკეთებდენ კერპებს, ე. ი. ხისა ან მარმარილოს ქანდაკებას. იმათი წარმოდგენით ეს ღმერთები მეტათ შურიანები და სიმღიდრის მოყვარულნი იყვნ. ბრაზობდენ, თუ მათ ხალხი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. ხალხი მათთვის აშენებდა ტაძრებს. მიჰერიანდათ სხვა-და-სხვა ძეირფასეულობა და მსხვერპლათ სწირავდენ ხარებსა და ცხერებს. ღმერთების პატივსაცემლათ არდვენდენ დრამებს, მაგრამ იმას-კი არაერთ ფიქრობდა, რომ უმჯობესი იყო რამე კეთილი საჭე მოექმედებინა მათ პატივსაცემლათ.

2) ქრისტეს სარწმუნოება. იესო ქრისტე-კი ყველას იმას ასწავლიდა, რომ ღმერთი ერთია, „მამათ ჩვენთ, რომელი სარტყათ შინა“. ასწავლიდა, რომ ღმერთს ვერ ასიამოენებ ცხერების მსხვერპლათ შეწირვით და სხვა-და-სხვა მორთულობით. იგი აშბობდა: თავდაპირებელათ უნდა გიყვარდეს ღმერთი, აგრეთვე უნდა გიყვარდეს სხვა ხალხიც, რომელთაც ყოველთვის უნდა დაეხმარო, დაეხმარო მაშინაც-კი, თუნდაც რომ შენს წინააღმდეგ იქცეოდეს იგი. ყველა ძმები ხართ, ერთი ღმერთის ძენი, როგორც ლარიბნი, ისე მდედრებიც, როგორც მონები ისე მეფეებიც, ამისათვის ყველანი თანა-



სწორნი ხართო. ამ გვარათ ქრისტე ქადაგებდა თანასწორობას და მომბას.

4) მოციქულები. ქრისტემ გამოუკადა თავის მოწაფებებს: „წარ-
ვდით და აწავეთ ყველა ერებსაო“ მოწაფებებს უწოდებდენ მოცი-
ქულებს. ისინი გაემგზავრენ აზისა და საბერძნეთის სხვა-და-სხვა ქა-
ლაქებში საქადაგებლათ. იმათ აუწყეს ხალხს, რომ იქსო ქრისტეა
ძე ღვთისა, გამოგზავნილი მხსნელათ და მაცხონებლათ იმ კაცთა,
რომელნიც მას ერწმუნებიან. იმ დროს ქეყნათ ბევრი უბედური და
საწყალი ხალხი იყო, ბევრი უმწერა მონა, რომლებსაც ბატონები
სცემდენ, აწვალებდენ და ამწყედებდენ დაბორკილებს ბნელ საპყრო-
ბილებში. ამ გაჭირებულებმა სიხარულით მიიღეს ახალი საჩწმუნოება,
რომელიც უქადა მათ სიკედილის შემდეგ სამოთხეს, თუ ისინი ირწ-
მუნებდენ ქრისტეს, იცხოვრებდენ კარგათ და პატიოსნათ.

4) ეკლესია. მალე ქრისტიანები გაწნდნ იმპერიის ყველა ქალა-
ქებში, სირიიდან დაწყებული ისპანიამდე. პირეელში მათი რიცხვი
ძალიან მცირე იყო და მეტათ ღარიბინი. შემდეგ ამ რიცხვმა იმატა
თანდათან. ქრისტიანები იკრიბებოდენ სულ ყველა ერთათ და კითხუ-
ლობდენ საღმრთო წერალს, ვალობდენ სასულიერო სიმღერებს და
იღებდენ წმ. საიდუმლოს. ამგვარ კრებას უწოდებდენ ეკლესიას და
ყველა ეს კელესიები შეადგენდენ ქრისტეს ეკლესიას.

5) მოწამენი. იმპერატორები, მათი მმართველები და თითქმის
მოელო ხალხი ისევ უწინდელს საჩწმუნოებაზე იდგა და მას იცავდა.
იმათ სძულდათ ქრისტიანები, როგორც მათი ღმერთების უარის
მყოფელნი. იმპერატორებმა გამოსცეს ისეთი კანონები, რომლითაც
სიკედილით სჯიდენ ქრისტიანებს, თუ ისინი კერძებს თაყვანს არ
სკემდენ. ქრისტიანებს სიკედილით სჯიდენ რომაელების ჩეეულე-
ბისამებრა: მიაკრავდენ ცარკვი სეკურტებზე და საზოგადოების გასართო-
ბათ მიუშვებდენ ლომებს, ვეფხებს და სხვა მხეცებს, რომლებიც
ნაკუწ-ნაკუწათ გლეჯდენ საცოდავებს. მაგრამ ქრისტიანებს არ ეში-
ნოდათ წვალებისა და ხშირათ თეითონ აცხადებდენ, ქრისტიანები

ვაჩთო და უფარდებოდენ ხელში მართებლობას. ისინი, ეისაც ას ნაირათ აწვალებდენ, წმიდანებათ იწოდებოდენ და ქრისტიანები თაყვანსა სცემდენ მათს ნაშთებს.

6) ქრისტიანობის გამარჯვება. მოუწედავათ ამგვარ დევნისა იმპერიის მკეთრნი მაინც ბევრი გაქრისტიანდა და სამასი წლის განმაჟლობაში თითქმის უკელა ქალაქების მცხოვრებლები ქრისტეს სარწმუნოებისანი შეიქნენ. კონსტანტინე იმპერატორმა 311 წელს გამოსუბნდნება, რომელიც ნებას აძლევდა უკელას, ეისაც სურდა, ქრისტული მიეღო. იმ დროს ყოველ ქალაქებში იყო ქრისტიანების თავი კაცი, რომელსაც უწინდებდენ ეპისკოპოსს, ანუ მეთეულყურეს. ამ ეპისკოპოსებს დიდი გავლენა ჰქონდათ ხალხზე, ისინი იწვევებოდნენ ხალხს სათათბიროთ, არჩევდენ სარწმუნოებრივ საქმებს და ამ მოწვევას და თათბირს ეძახდენ მსოფლიო ქრებას. პირველი მსოფლიო კრება მოხდა ნიკეაში 325 წელს. ამ კრებაზე ეპისკოპოსებმა შეადგინეს სიმბოლო სარწმუნოების, (ანუ სარწმუნოების წესები) „მრწამს“, რომელსაც ახლაც გალობუნ წირვის დროს ეკლესიაში.

7) წარმართები (კერპთ-თაყვანისმცემელნი). მაშინ ჯერ კიდევ არ ესმოდათ, რომ ყველას უნდა ჰქონდეს ნება ისე ილოცოს, როგორც სურს ან და როგორც თეისი სარწმუნოების წესები აეალებს. იმ დროს სხვა რჯულის ხალხს ისე-კი არ ექცეოდენ მეგობრულათ, ძმურათ, როგორც ახლა ჩენს დროში, ქრისტიანი იმპერატორები ისე სტანჯავდენ წარმართებს, როგორც წარმართნი იმპერატორები ქრისტიანებს. თეოდოსი ივერიატორმა 394 წ. სიკედილი მიუსაჭა უკელა კერპთ-თაყვანისმცემებს. წარმართები კიდე იყვენ დარჩენილი ზოგიერთ სოფლებში. ისინი იკრიბებოდენ სალოცავათ ტკეციაში კერპის ან წმიდა ხის გარშემო. კერპთ თაყვანისმცემლებმა შიაღწიეს მეექესე საუკუნემდე.

ნ. შენგელია.



ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი პ. სესნიაშვილისაგან).

თავის ღროწე დალეული შხამიც ტკბილიაო.

—

(წარმოდგენილი ქართველი ოსებში—საგან).

კიდობანი რომ პურით სამსე იყოს და კოკა წყლით
ობოლს მაინც შიან და სწყურიანო.

—

ეირს რომ ზურგი აქაედება სახაბაზოს კარს მიადგებაო.

—

რაც ფხიზელს გულში უძეეს—ის მთერალს ენაზე აკერიაო.

—

ଗାନ୍ଧାରା ନାନ୍ଦା.

(ପୁରୁଷାଶିଳ ହିଂସାକ୍ଷିଳେଣ ନ. ନାନ୍ଦାଶିଥିଲେଖାନ).

ୟଶ୍ରୀ-ୟଶ୍ରୀ—ୟଶ୍ରୀଲାଙ୍କା,
 ଯଶ୍ରୀଲ ଶ୍ରୀରାତ—ଶ୍ରୀଦାଲଙ୍କା,
 ଶ୍ରୀଦାଲ ଶ୍ରୀରାତ—ଶ୍ରୀକ୍ଷେତ୍ରଙ୍କା,
 ଶ୍ରୀକ୍ଷେତ୍ର ଶ୍ରୀରାତ—ଶ୍ରୀକୁରିଷ୍ଟଙ୍କା,
 ଶ୍ରୀକୁରିଷ୍ଟ ଶ୍ରୀରାତ—ଶ୍ରୀକୁରିଷ୍ଟଙ୍କା,
 ଶ୍ରୀକୁରିଷ୍ଟ ଶ୍ରୀରାତ—ଶ୍ରୀକୁରିଷ୍ଟଙ୍କା,
 ଶ୍ରୀକୁରିଷ୍ଟ ଶ୍ରୀରାତ—ଶ୍ରୀକୁରିଷ୍ଟଙ୍କା,
 ଶ୍ରୀକୁରିଷ୍ଟ ଶ୍ରୀରାତ—ଶ୍ରୀକୁରିଷ୍ଟଙ୍କା.

(ହିଂସାକ୍ଷିଳେଣ ନାନ୍ଦା. ପ୍ରକାଶକ ନାନ୍ଦାଶିଥିଲେଖାନ).

ଗଲାକା ଗୁରୁଲିଲା ଅରିଲା, ଦ୍ୱୟାରା ତ୍ରାନିଲିଲାମନ୍ଦିର ଚାପ୍ରାନୀ
 ଲା ଉନ୍ନତି ଲିଲା ଗାନ୍ଧାରା ମହାରାଜାରେ ଆତିନ୍ଦ୍ରିୟବ୍ୟକ୍ତି.

ଶ୍ରୀଲାଙ୍କା ଲିଲାରେ ଲା ଶ୍ରୀଲିଲା-କି ପାଦିନିଲା.

ଦ୍ୱୟାରା ଦାଲାକ୍ଷେ ମାତ୍ରିଦେଖିନ, ସିଲାକ ମାତ୍ରିଦେଖିନ,
 କଳିଲେଖିବ ମାତ୍ରିଦେଖିନ ଲା ଲିଲାକ ମାତ୍ରିଦେଖିନ.

ଅତାକ ଦିଲା ପାଦିନିଲା ଶାରୀତ୍ୟକାଲି ଅର୍ଥିଲା.

ଶ୍ରୀକାରା ଗାମନ୍ଦୁଷାତ୍ପର୍ମେଲ୍ଲି.

(ହିନ୍ଦୁମିତ୍ରଧ୍ୟନିଷ୍ଠା ତଥାର୍ଥନିଷ୍ଠାଗାନ).

ପ୍ରାସ ମନ୍ତ୍ରମିତ୍ର—ମନ୍ତ୍ରମିତ୍ରଦୀର୍ଘ—
ମନ୍ତ୍ରମିତ୍ରମନ୍ତ୍ରମନ୍ତ୍ର—ମନ୍ତ୍ରମନ୍ତ୍ରମନ୍ତ୍ରମନ୍ତ୍ରଦୀର୍ଘ,
ପ୍ରମାଣିତ ପ୍ରମାଣିତ ପ୍ରମାଣିତ ପ୍ରମାଣିତ,
ପ୍ରମାଣିତ ପ୍ରମାଣିତ ପ୍ରମାଣିତ—
ପ୍ରମାଣିତ ପ୍ରମାଣିତ—ପ୍ରମାଣିତ—

ଶାରାଦା.

(ହିନ୍ଦୁମିତ୍ରଧ୍ୟନିଷ୍ଠା ଶାରାଦା ଶାରାଦାଗାନ).

ଶିତ୍ୟରେ ନାକ୍ଷେତ୍ରରେ ଗ୍ରେଗରିଆନ୍‌ଡା,
ଜୀବିନ୍‌ଦ୍ୱାରା ଉଚ୍ଛଵିତ ମନୋନିଷି;
ପଦାଶିଳ, ମାଧ୍ୟମ ପରିପ୍ରକାଶି
ଅନ୍ତରେ କ୍ଷେତ୍ରର ପଦି ପଦି ଆଶି;
ପରିପ୍ରକାଶ ମନୋନିଷି ପରିପ୍ରକାଶ—
ଶିତ୍ୟରେ ଜୀବିନ୍‌ଦ୍ୱାରା ଉଚ୍ଛଵିତ ମନୋନିଷି;
ପରିପ୍ରକାଶ ମନୋନିଷି ପରିପ୍ରକାଶ
ଅନ୍ତରେ କ୍ଷେତ୍ରର ପଦି ପଦି ଆଶି,
ଅନ୍ତରେ କ୍ଷେତ୍ରର ପଦି ପଦି ଆଶି

ကျေပျော်


(ရှေ့နှင့်လျှပ်စီးပွဲ၊ ပြည်သူ့ဝန်ကြီးချုပ်၊ ပြည်သူ့ဝန်ကြီးချုပ်၊ နှင့် နာမာန်ဆုံးပါသည်)၊



ဂာတ္တာဖော်လောင်
မာရိုက်



ယာဉ်



ကြော



ပြည်လောင်
မျှော်



№ V გამოცნებისა.

გამოცანები: 1) ლელე, 2) თოვლი, 3) ცის ნამი, 4) მდი-
ნრის კიდევები.

ზმა: ვარდი, ჯოჯო, ხე, კუ, აღამ, კიდე.

შარადა: აელაბარი.

რებუსი: ბრმა ქათამს ასე გონია
ყველგან ხორბალი ყრიაო.

ზოგი გამოცანები, შარადა, და რებუსი გამოიცნეს: გორის პრო-
გრძნაშიის მოსწავლებ თამარა წერეოთელმა და გორის სამრევლო ორ
კლასიანი სკოლის მოსწავლებ ანნა ონიაშვილმა.



ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА 1903 годъ
на издающуюся въ Тифлисѣ политическую и литературную ежедневную газету

„НОВОЕ ОБОЗРЕНИЕ“.

(XX-й годъ издания)

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

съ доставкой и пересылкой;

на 12 мѣсяцевъ	7 р.—к.		на 6 мѣсяцевъ	4 р.—к.
” 11 ”	6 „ 50 ”		” 5 ”	3 „ 50 ,
” 10 ”	6 „ — ”		” 4 ”	3 „ — ,
” 9 ”	5 „ 50 ”		” 3 ”	2 „ 50 ,
” 8 ”	5 „ — ”		” 2 ”	2 „ — ,
” 7 ”	4 „ 50 ”		” 1 ”	1 „ — ,

За границу: на годъ 14 р., на полгода 8 р., на 3 мѣсяца—5 руб.

Допускается разсрочка платежа: къ 1-му января—4 р., съ 1-му июня—3 р.

Для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библиотекъ и благотворительныхъ учрежденій сдѣлана скидка: годовая плата для иногородныхъ—6 руб., для городскихъ—5 руб.

Подписька принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждого мѣсяца—въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.

Глата за объявленія: для Кавказскаго края на 1 стр. одинъ разъ—15 коп. (со строки петита), на 4 стр—8 к. Объявленія, печатаемыя болѣе одного раза, на 1-й стр.—10 к. (со строки петита), на 4-й стр.—5 коп. За годовыя объявленія—значительная скидка.

საქმიანი კილო ნახატებიანი უფრინალი

„ჯ ე ჯ ი ლ ი“

წელიწადი მეთოთხმეტე

გვია 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორ ჩათაც აქამდის.

უფრინალი „ჯ ე ჯ ი ლ ი“ მიღებულია თუილისის საეპარქიო და კუკასის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან. სასწავლებლების სამითხველოებში საკითხავათ.

უფრინალი „ჯ ე ჯ ი ლ ი“ თფილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) თვილისში — „წერა-კითხების გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯ ე ჯ ი ლ ი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, ვიზ. Кадетского корпуса).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

კულტურულ-გამომცემელი ან. თუმ.-წერეთლისა.